# საქართველოს რესპუბლიკა




გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი-ორშაბათი, 28-31 იანვარი. 2021 წ. №19-20 (9138-9139) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# ქართველი ხალხის თვალში ბოლომდე გაბითურებულო, უკვე მომაბეზრებელო ოპოზიციავ!






მთელი დემოკრატიული სამყარო გეუბნებათ: არჩევნები არ გაყალბებულა, ბიძინა ივანიშვილს არჩევნები ჯიბეში არ ჩაუდვია!.. ამიტომაც თუ რაიმეს თავი გაქვთ „შებოიკოტდით“ პარლამენტში, ან მოუსვით თქვენს სამარცხვინო ფიურერთან და 2024 წლამდე კრინტსაც ნუ დაძრავთ!.. ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი!!!






## <u>არჩილ თალაკვაძე:</u> სააკაშვილი პოლიტიკურ შანტაჟს ახორციელებს ოპოზიციის ჯანსაღ ნაწილზე!



**მიხეილ სააკაშვილი იმ პოლიტიკურ პროცესში უკანონოდ მონაწილეობს, რასაც ჰქვია საარჩევნო კამპანიები და საქართველოში რეგისტრირებული ჩრდილოვანი მართვა, ის არის არაფორმალური მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“,** — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერის ვახტანგ მეგრელიშვილის განცხადებაზე საუბრისას აღნიშნა. მისი თქმით, „მიხეილ სააკაშვილი რადიკალური ოპოზიციის ნაწილია“.

**„ჩვენ ვხედავთ, ამ პარტიის შიგნით რა პროცესები მიმდინარეობს და იმედი მაქვს, რომ ის ადამიანები, ვისაც პრაგმატული და ჯანსაღი დამოკიდებულება აქვთ დღეს არსებულ რეალობასთან, გადაწონიან სირთულეს და ისინი გახდებიან გადაწყვეტილების მიმღებნი. მიხეილ სააკაშვილი არის რადიკალური ოპოზიციის ნაწილი, რომელსაც საქართველოში არ სურს არჩევნები, სტაბილური პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ნორმალური თანამშრომლობა. დღემდე ის არის ერთ-ერთი, ვინც პოლიტიკურ შანტაჟს ახორციელებს ოპოზიციის ჯანსაღ ნაწილზე. ვფიქრობ, რომ ეს მალე დასრულდება“,** — განაცხადა თალაკვაძემ.

## ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომას ირაკლი კობახიძე გაუძღვა



**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიის პლენარულ სხდომას გუშინ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი, ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი ირაკლი კობახიძე გაუძღვება. ასამბლეის პლენარულ სხდომაზე კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის საკითხზე მსჯელობენ. სხდომაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის დელეგაცია.**

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაცია, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის კახა კუჭავას ხელმძღვანელობით 25-29 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაში იღებს მონაწილეობას. ეს არის საპარლამენტო დელეგაციის პირველი ვიზიტი, რომელიც მეათე მოწვევის პარლამენტის ფარგლებში ხორციელდება. დელეგაციის შემადგენლობაში დეპუტატები ირაკლი კობახიძე, მარიამ ქვრივიშვილი, გივი მიქანაძე, ირაკლი ჩიქოვანი და თამარ ტალიაშვილი შედიან. სტრასბურგში, PACE-ის ზამთრის სესიაზე საქართველოს დელეგაციის წევრი ირაკლი კობახიძე ვიცე-პრეზიდენტად 25 იანვარს მეორე ვადით დაამტკიცეს.

## ხელმოცარულნი „იაფი ფულისკენ“ გარბიან!


④




**რა გინდათ, რას ერჩით?!**

**რაც ივანიშვილს აგინეს, ვერც ერთი დიქტატორი იმის მეასედსაც ვერ აიტანდა**

# თუ ოპოზიცია აგრძელებს საბოტაჟს, მაშინ უფლება-მოსილება უნდა შევუწყვიტოთ!



**თუ საუბარია იმაზე, რომ ოპოზიციის ნაწილს არ სურს ცივილურ, დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობა და ისინი გადიან ამ პროცესის მიღმა, რა თქმა უნდა, უნდა იყოს შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული. ეს ყველაფერი დამოკიდებულია მათ პოზიციაზე, რას ამბობენ ისინი — თუ აგრძელებენ საბოტაჟს, მაშინ უნდა შევუწყვიტოთ უფლებამოსილება. ეს მათი არჩევანია,** — ამის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანრი ოხანაშვილმა განაცხადა.

**„როცა ეს ადამიანები ამბობენ, რომ საპარლამენტო ცხოვრების წესებსა და ამომრჩევლებს არ სცემენ პატივს, საინტერესოა, ასეთი საბოტაჟის რეჟიმი რამდენად წაადგება ქვეყანას? ვისურვებდი, რომ ეს დეპუტატები, რომლებიც არჩეულნი არიან მოსახლეობის მიერ, მოვიდნენ და მიიღონ ამ პროცესში მონაწილეობა და იქ გამოჩნდებოდა, მათ რა პოზიცია ექნებოდათ. ისინი პირდაპირ აცხადებენ, რომ საბოტაჟის რეჟიმში არიან, რაც ძალიან სამწუხაროა, თუმცა დემოკრატიის პროცესი და პრინციპები ითხოვს იმას, რომ ჩვენ ეს შესაბამისი წესების დაცვით, კონსტიტუციის და რეგლამენტის შესაბამისად განვიხილოთ“.**

# მაია ცქიტიშვილი: მნიშვნელოვანია ბიზნესთან ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც საერთო ბრძოლაში უფრო გაგვაძლიერებს!



**ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც ჩვენ უფრო დაგვაახლოებს, გაგვაერთიანებს და საერთო ბრძოლაში უფრო გაგვაძლიერებს. სწორედ ამას ემსახურება ის შეხვედრები, რომლებიც ტარდება ეკონომიკის სამინისტროში, ბიზნესომბუდსმენის, ტურიზმის ადმინისტრაციის, შრომის ინსპექციის მონაწილეობით, ჯანდაცვის სამინისტროსა და ყველა იმ ორგანიზაციაში, რომელიც დღეს ერთად პანდემიასთან ბრძოლაშია ჩართული,** — ამის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, მთავრობის წარმომადგენლების ბიზნესთან შეხვედრა ქვეყანაში ეკონომიკური ზიანის შემცირებასა და პანდემიის შედეგების მინიმუმამდე დაყვანას ემსახურებოდა.

**„შეხვედრა ნამდვილად იყო ძალიან ემოციურიც იმიტომ, რომ ძალიან კარგად გვესმის ბიზნესისა და თითოეული დარგის წარმომადგენლის პრობლემები. არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სამწუხაროდ, პანდემიის გამო, ხელისუფლება, ბიზნესი და ჩვენი მოქალაქეები ასეთი ტიპის გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდით. ჩვენ გვიწევს გამკლავება ამ ძალიან რთულ, როგორც ეპიდემიოლოგიურ, ასევე ეკონომიკურ გარემოებებთან და ნამდვილად აქტიურად გავაგრძელებთ ამ ძალისხმევას ბიზნესთან და ჩვენს მოქალაქეებთან ერთად. გავერთიანდეთ პანდემიის წინააღმდეგ, მაქსიმალური ძალისხმევა მივმართოთ, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ ის ეკონომიკური ზიანი, რომელიც თითოეულ ოჯახს მიადგა“,** — განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

# ნათია თურნავა: ვაჭრობა ის სექტორია, რომელიც შედარებით სწრაფად აღდგება

**საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით საუბარი არ არის, რადგან ვაჭრობა ის სექტორია, რომელიც შედარებით სწრაფად აღდგება,** — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ სავაჭრო ცენტრების და მოლების მფლობელებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისივე თქმით, იმ ბიზნესებისგან განსხვავებით, რომლებსაც შეზღუდული აქვთ საქმიანობა, სავაჭრო ინდუსტრიას შეუძლია საკუთარი რესურსით გააგრძელოს საქმიანობა.



**„საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით საუბარი არ არის, რადგან ვაჭრობა ის სექტორია, რომელიც შედარებით სწრაფად აღდგება, ამასთან, წინასაახალწლო პერიოდშიც ვამუშავეთ. შესაბამისად, სხვა შეზღუდულ ბიზნესებთან შედარებით, მათ შეუძლიათ, მოიკრიბონ ძალები და საკუთარი რესურსით გააგრძელონ საქმიანობა. ეს არის კომპრომისული გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე მთელი ქვეყნის მასშტაბით გავხსნათ სავაჭრო ინდუსტრია. პანდემიამდე ვიცით, რომ თებერვალი მკვდარი თვე იყო. თუმცა პანდემიის პერიოდში მომხმარებელთა ქცევა განსხვავებულია. მოსახლეობაში დაგროვილია პროდუქტის შეძენის საჭიროება, გადააწყობს თავის ქცევას და მივა სავაჭროდ. ბევრი საჭიროება დაგროვდა — ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ოჯახები, ვისაც ბავშვები ჰყავთ და ფეხი სწრაფად ეზრდებათ და უნდა შეუცვალონ ფეხსაცმელი. ასეთი მომხმარებელი მოლოდინის რეჟიმშია და თებერვალიც საკმაოდ აქტიური იქნება“...**

# ირანულმა მხარემ დაიწყო საზღვარზე შეჩერებული ტრანსპორტის გატარება!



**ირანულმა მხარემ დაიწყო საზღვარზე შეჩერებული ტრანსპორტის გატარება, ნაწილმა გადაკვეთა საზღვარი და ნაწილის გამოშვება ეტაპობრივად მოხდება,** — ამის შესახებ საქართველოს „პირველ არხს“ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საკონსულო დაწესებულებიდან აცნობეს.

**„მას შემდეგ, რაც შევიტყვეთ ირანის საზღვარზე შეჩერებული სატვირთო მანქანების შესახებ, რომლებსაც მართავენ საქართველოს მოქალაქეები, ყოველდღიურ რეჟიმში ვართ ჩართული აღნიშნული საკითხის მოგვარებაში; გვაქვს კომუნიკაცია ირანის შესაბამის სამსახურებთან, ასევე თავად მძღოლებთან და გადამზიდავი კომპანიების ხელმძღვანელებთან. ამ დროისთვის, ირანულმა მხარემ დაიწყო შეჩერებული ტრანსპორტის გატარება, მათმა ნაწილმა უკვე გადაკვეთა საზღვარი და დარჩენილი ნაწილის გამოშვება ეტაპობრივად მოხდება“,** — აცხადებენ საკონსულოში.

# შიდა ქართლში საირიგაციო სისტემებზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს

შიდა ქართლში წყალუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, საირიგაციო სისტემებზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ამის შესახებ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ნატანი მასისა და ხე-ბუჩქნარისგან სოფელ კარბისა და ქერეს ტერიტორიაზე ტირიფონის მაგისტრალური არხის 3-კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

**„ექსპლუატაციის პროგრამით გატარებული ღონისძიებების შედეგად, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც სარწყავი წყლის მიწოდებას 1 500 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესებს. აღდგენილი საირიგაციო სისტემით გორის მუნიციპალიტეტის 8 სოფლის — ტყვიავის, ფლავის, ფლავისმანის,მეჯვრისხევის, ზერტის, აძვის, ახალუბნისა და ჯარიაშენის მოსახლეობა ისარგებლებს. სამუშაოები, რომელსაც საქართველოს მელიორაცია საკუთარი ძალებით ახორციელებს, დასრულების ეტაპზეა“...**



# LA REPUBBLICA: კოვიდ-პასპორტების შემოღება ტურიზმს ვერ გააცოცხლებს

**ევროპაში სულ უფრო პოპულარული ხდება ვაქცინირებული ადამიანებისთვის შეღავათების მინიჭების იდეა. თუმცა კოვიდ-პასპორტების გაცემა დღეს ჯერ კიდევ ნაადრევია და ის სასურველ შედეგს, ტურისტული ინდუსტრიის აღორძინებას ვერ მოიტანს.**

პირველმა ეს წინადადება საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კირიაკოს მიცოტაკისმა გაახმოვანა. მან მხარდაჭერა სხვა, ტურიზმზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული ქვეყნებისგანაც მიიღო. იდეა ასევე ევროკომისიის თავმჯდომარემ ურსულა ფონ კლიანენმაც მოიწონა და კოვიდ-პასპორტი „საზღვრების გახსნისთვის აუცილებელ სამედიცინო პირობად“ შეაფასა. თუმცა, სინამდვილეში კოვიდ-პასპორტიზაცია დიდ რისკებს შეიცავს, რადგანაც ის არასწორ მეცნიერულ, იურიდიულ და ტერიტორიულ არგუმენტებს ემყარება.

ადამიანების და ქვეყნების გაერთიანების და შეკავშირების ნაცვლად კოვიდ-პასპორტი დამატებით ბარიერებს შექმნის, მაგრამ ინფექციისგან ვერავის დაიცავს.

**მეცნიერული თვალსაზრისით არასწორია წარმოდგენა, რომ კოვიდ-პასპორტის მიმღები ინფექციის მატარებელი არ არის. დღეისთვის არსებული მონაცემები, ვაქცინა დაავადების სიმპტომების ბლოკირებას ახდენს, თუმცა, ვირუსის გავრცელებას მხოლოდ ნაწილობრივ აფერხებს - ვაქცინირებული ადამიანი შესაძლებელია თავად ჯანმრთელი, თუმცა, ამავე დროს ინფექციის მატარებელი იყოს. მაგრამ მთავარი არც ესაა. კოვიდ-პასპორტიზაციის აუცილებელი პირობაა ვაქცინასთან თანასწორი ხელმისაწვდომობა ყველასთვის, თუმცა სადღეისოდ ამ საკითხში ბევრი სირთულეა, პირველ რიგში ქვეყნებს შორის. მაგალითად, დანიელები ვაქცინას ფრანგებზე, გერმანელები კი ჰოლანდიელებზე ადრე მიიღებენ.**

ასევე სერიოზული უთანასწორობაა თავად ქვეყნებში, რეგიონების და სოციალური ფენების მიხედვით. ვაქცინის მიღების ყველაზე დიდი შანსი მეგაპოლისების მოსახლეობას აქვს, მაშინ როდესაც პროვინციებისთვის და შედარებით მცირე ქალაქებისთვის, პირველ ეტაპზე ვაქცინის მიღება დიდ სირთულეებს უკავშირდება.

გარდა ამისა, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში გამოყოფილია პირთა კატეგორია, რომლებიც პირველ რიგში აიცრებიან, ძირითადად, მედიკოსები და მოხუცები. შემდგომ ჯგუფებს კი სახელმწიფო თავისი შეხედულებებისამებრ ადგენს, მასწავლებლები, ტრანსპორტის სექტორში დასაქმებულები და ა.შ.

**რა მოელის მილიონობით ევროპელს, ვინც პრივილეგირებულთა კატეგორიაში არ შედის? მათ შორის 17 მლნ. ადამიანს, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეა, მაგრამ იმ ქვეყანაში არ ცხოვრობს, სადაც დაიბადა? რა მოელის მილიონობით მიგრანტს არაევროკავშირის ქვეყნებიდან? — მათთვის ვაქცინაციის შესაძლებლობა დახურული იქნება და სურვილის შემთხვევაში მათ ვაქცინების შავი ბაზარზე მოძიება მოუწევთ. ეს ადრე თუ გვიან მოხდება, როდესაც საზოგადოებაში უთანასწორობაა, ეს შავი ბაზრის გაჩენას გარდაუვალს გახდის.**




ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ევროკომისიისთვის უმჯობესი იქნებოდა ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე და უთანასწორობის დაძლევაზე ზრუნვა. კოვიდ-პასპორტების შექმნის ნაცვლად, ევროკომისიამ ვაქცინის თანასწორი განაწილება როგორც ქვეყნებს შორის, ასევე ქვეყნებს შიგნით უნდა უზრუნველყოს.

**ვაქცინაციის ცნობა ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისთვის პანაცეად ვერაფრით ვერ ჩაითვლება, განსაკუთრებით, ისეთ სექტორებში, როგორც ტურიზმი და სარესტორნო ბიზნესი. 2020 წელს, ამ დარგების გადარჩენისთვის საზღვრების შერჩევითმა გახსნამ დაინფიცირების მკვეთრი ზრდა გამოიწვია.**

პანდემია ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არათანაბრად განაწილდა, ზოგი მეტად დაზიანდა, ზოგი კი ნაკლებად. კოვიდ-პასპორტების შემოღება, სხვადასხვა კატეგორიებად ადამიანების გაყოფა, ამ შემთხვევაში კარგი და სასარგებლო იდეა ნამდვილად არ არის!

**თენგიზ აბლოთია**

**წელიწადზე მეტია, საქართველოს ეკონომიკა მედიცინის მძევლად იქცა. როდის დასრულდება იძულებითი მდგომარეობა არავინ იცის. დარგები, რომლებზეც ქვეყნის ეკონომიკა იდგა ლოქდაუნში აღმოჩნდა, იზრდება საგარეო ვალი. დადგა თუ არა დრო, საქართველომ შეცვალოს საბიუჯეტო დაფინანსების პრიორიტეტები და უფასო განათლების სისტემაზე დაბრუნდეს, რამდენად მართებულია ნიჭიერი ახალგაზრდების ბიზნესში გადინება და განათლების გარეშე, ქვეყნის ეკონომიკას წარმატებული მომავალი ექნება თუ არა. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე Dalma News-ს ეკონომისტი, პროფესორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა ესაუბრება.**

# ვლადიმერ პაპავა: მიწა არ უნდა იყიდებოდეს, განათლება უნდა ფინანსდებოდეს...



**— როგორ შეაფასებთ მთავრობის 2021-2024 წლების განვითარების პროგრამას?**

— პროგრამას დადებითად ვაფასებ უპირველესად იქიდან გამომდინარე, რომ ის ორიენტირებულია მთავარზე, — 2024 წელს საქართველომ შეძლოს ოფიციალური განაცხადის გაკეთება ევროკავშირის წევრობაზე. ამ თვალსაზრისით ამ პროგრამას მივესალმები. რაც შეეხება მიწების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას, მე აქ უფრო ფრთხილი ვარ, განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწები გახდეს ყიდვა-გაყიდვის საგანი, ეს ეწინააღმდეგება, როგორც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიწის გაყიდვით, ის ეკონომიკური ეფექტი ვერ მიიღება, რომლის მოლოდინიც შეიძლება არსებობდეს.

ამის ახსნა არის ძალიან მარტივი, უბრალოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არ განეკუთვნება ძვირადღირებული პროდუქციის რიცხვს და რენტაბელობა არ არის მაღალი, შესაბამისად მიწის ფასი ვერ იქნება მაღალი. მაგრამ მიწის სპეკულაციური ფასი შესაძლებელია გაზარდონ არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თუ ინტერვენციული ხასიათის მექანიზმებით, მაგრამ ეს უკვე წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს ინტერესებთან. სასოფლო-სამეურნეო მიწებზე უნდა შენარჩუნდეს სახელმწიფო საკუთრება. სოფლად დასაქმებულთა ორგანიზების ერთ-ერთი საინტერესო ფორმა კოოპერაციული საქმიანობის განვითარებაა, რასაც, რა თქმა უნდა, სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი.

**— ევროკავშირის წევრობის განაცხადის გაკეთებამდე მთელი რიგი ეკონომიკური ნაბიჯებია გადასადგმელი. ყველა ეს საკითხი გათვალისწინებულია ამ პროგრამაში?**

— ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად სწრაფად მოახერხებს მსოფლიო პანდემიის დაძლევას, რადგან ასეთ დროს სერიოზული ეკონომიკური რეფორმების გატარების შესაძლებლობები შეზღუდულია. დღეს, ეკონომიკამ არსებული კრიზისი რომ დაძლიოს, ამის მექანიზმი ეკონომიკაში არ არის, ამის მექანიზმი მედიცინაშია. კრიზისიდან გამოსვლა არ იქნება ადვილი, რადგანაც ზოგიერთი ეკონომიკური პრობლემა გადაუწყვეტელი დარჩება.

**— 2020 წელი ნამდვილი გამოწვევა იყო საქართველოსთვის, კრიტიკულ ნიშნულამდე გაიზარდა საგარეო ვალი, როგორ უნდა მოვუაროთ ამ პრობლემას?**

— საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის მიხედვით სასურველია, რომ საგარეო ვალი არ აღემატებოდეს მთლიანი სამამულო პროდუქტის 60%-ს. ეს სარეკომენდაციო მაჩვენებელია და ნამდვილად არ არის კრიტიკული. უბრალოდ, სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნისას მიიღეს ეკონომიკური თავისუფლების აქტი, სადაც ეს ზღვრული მაჩვენებელია დადასტურებული, თანაც ძალიან ბევრი ისეთი რამეცაა ჩაწერილი, რომელი ჩანაწერების ადგილი კონსტიტუციასა და კანონებში არ არის, იმიტომ, რომ ისინი ეკონომიკური პოლიტიკის კომპონენტებია, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების შეზღუდვა კანონმდებლობით გაუმართლებელია. ერთადერთი პრობლემა, რომელიც დღეს საქართველოს მთავრობას აქვს, ვერ დაიცვა ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრული საგარეო ვალის ზედა პარამეტრი. პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში 30-ზე მეტმა ქვეყანამ გადააჭარბა, არა მხოლოდ მთლიანი სამამულო პროდუქტის 60%-იან ზღვარს, არამედ 100%-იან ზღვარსაც.

მაგალითად, იაპონიაში სახელმწიფო ვალმა უკვე შეადგინა მთლიანი სამამულო პროდუქტის 266%, საბერძნეთში – 205%, იტალიაში – 162%, პორტუგალიაში – 137%, აშშ-ში – 131%, ესპანეთში – 123%, საფრანგეთში – 119%, კანადაში – 115%, დიდ ბრიტანეთში – 108%. ამიტომ ეს პრობლემა ახლებურ გადაწყვეტას საჭიროებს პოსტკრიზისულ პერიოდში. ეს საკითხი 2021 წელს გადასაწყვეტი იქნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ გლობალურად, მსოფლიო მასშტაბით. ის, თუ მომავალში, როგორ უნდა მოემსახუროს საქართველო საგარეო ვალს, ამის მექანიზმი თვითონ ეკონომიკაში დევს.

**— რა ბედი ელის ტურიზმს?**

— ტურიზმზე უარი არ უნდა ვთქვათ, მაგრამ ტურიზმი არ უნდა იყოს ქვეყნის მთავარი განმავითარებელი დარგი. მთავარი განმავითარებელი დარგი უნდა გახდეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, ანუ ისეთი ეკონომიკა, რომელიც შექმნის მაღალტექნოლოგიურ, ძვირადღირებულ საექსპორტო პროდუქტებს. პარალელურად საქართველოში ოპერატიულ რეჟიმში უნდა შეიქმნას ახალი სამრეწველო საწარმოები ყველა რეგიონში. კერძოდ, საუბარია მსუბუქი, კვების, სხვა გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებზე. მართალია ეს ეკონომიკას გაათავისუფლებს ტურისტული ხაფანგისგან, მაგრამ ვერ მოგვცემს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ცოდნაზეა დაფუძნებული. ეს მიიღწევა მეცნიერების, უმაღლესი და პროფესიული განათლების დაფინანსებით, საჯარო სკოლებში განათლების სისტემის რადიკალური შეცვლით. არ შეიძლება ახალგაზრდა სკოლას ამთავრებდეს და მისი ცოდნა გამოცდით არ ფასდებოდეს. სანამ ეს არ შეიცვლება, ჩვენ არ გვეყოლება ახალგაზრდები, რომლებსაც გააზრებული ექნებათ, რას ნიშნავს განათლება. არ შეიძლება სტუდენტის სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლა დამოკიდებული იყოს ფულის შოვნაზე, განსაკუთრებით მაგისტრატურაში და კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა დოქტორანტურაში. როგორ შეიძლება დოქტორანტი მუშაობდეს? მის კვლევას რა რეალური შედეგი ექნება? ძალიან დაბალი, იმიტომ, რომ ისინი გადასახლებულნი არიან ფულის შოვნაზე. ეს სისტემა რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს!

**— თქვენი აზრით, სახელმწიფომ განათლების სისტემა მთლიანად უნდა დააფინანსოს?**

— ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ასე ფიქრობენ ცნობილი ბრიტანელი ექსპერტებიც, რომლებმაც შეისწავლეს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა. ჩვენ შეგვიძლია გადმოვიღოთ ევროპული მოდელი, რომლის თანახმად, თუ ნებისმიერ სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდა სწავლობს მოცემული ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, მიუხედავად იმისა, არის ის ამ ქვეყნის მოქალაქე თუ არა, მის სწავლას სახელმწიფო აფინანსებს. ხოლო თუ ის სწავლობს უცხო ენაზე, მაშინ, ვინც არ უნდა იყოს, მოცემული ქვეყნის, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე, მაშინ სწავლა არის ფასიანი. ორიენტირება უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას, რომ დარჩეს მეცნიერებაში. ამიტომ, არსებითად უნდა გაუმჯობესდეს მეცნიერების დაფინანსება, ხელფასები უნდა გახდეს ადეკვატური. დღეს ნიჭიერი ახალგაზრდა თავს ეძებს ბიზნესში, ან საჯარო სამსახურში. მაგრამ ქვეყნის მომავლისთვის ჩვენ გვჭირდება ის, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა თავს ასევე მეცნიერებაში ეძებდეს. ამას კი სჭირდება პრინციპულად განსხვავებული დაფინანსება, სამუშაო პირობების შექმნა. ამის გარეშე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას წარმატებული მომავალი, უბრალოდ არ ექნება.

**— როგორ შეაფასებთ მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმას, რამდენად სწორად განისაზღვრა პრიორიტეტები?**

— კრიტერიუმი, რა არის სწორი და რა შეცდომა, უბრალოდ არ არსებობს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მსოფლიო დადგა ისეთი კრიზისის წინაშე, რომლის ანალოგი აქამდე არ ყოფილა, ამიტომ, ყველა ქვეყანა მოქმედებს განსხვავებულად. შეიძლება ითქვას, რომ როცა ხანძარია ჩასაქრობი, მთავრობა უნდა ფიქრობდეს იმ შენობის ნაწილის გადარჩენაზე მაინც, რომელსაც ცეცხლი უკიდია. აქ საუბარია ჩვენ ეკონომიკაზე. ამიტომ მთავრობის უმთავრესი ამოცანაა დაეხმაროს სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას და ნომერ მეორე ამოცანა – გადაარჩინოს ბიზნესი, რომ პოსტკრიზისულ პერიოდში, რაც შეიძლება ნაკლები გაკოტრებული კომპანია გვქონდეს. ამ თვალსაზრისით ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს დადებითად ვაფასებ.

**— ინფლაცია, ფასების მატება, ლარის გაუფასურება, ალბათ, 2021 წელსაც გაგრძელდება...**

— ამ პროგნოზის გაკეთება წინასწარ არავის შეუძლია. ეროვნული ბანკი სწორედ იმისთვის არსებობს, რომ გააკონტროლოს ინფლაციაც და ვალუტის გაცვლითი კურსიც. საქართველოს ეროვნული ბანკი გონივრულად თუ მოიქცევა, ინფლაცია და ეროვნული ვალუტის დევალვაცია შესაძლოა, მაინც გაგრძელდეს, მაგრამ ეს პროცესები გახდეს პროგნოზირებადი და ბიზნესისთვის ნაკლებად ზიანის მომტანი. მაგრამ, თუ ეროვნული ბანკი ამას არ გააკეთებს და კვლავ იქნება ნახტომები გაცვლით კურსში, სიტუაცია არაპროგნოზირებადი იქნება.

**— 2020 წელს შემცირდა უცხოური ინვესტიციებიც, ესეც სერიოზული დარტყმაა საქართველოს ბიუჯეტისთვის...**

— დღეს გლობალური ეკონომიკური კრიზისია, რაც მარტო საქართველოში არ გამოუწვევია პანდემიას. შესაბამისად შემცირდა პოტენციური ინვესტორებიც და მათი საინვესტიციო შესაძლებლობებიც შეზღუდულია.

**— 2020 წლის ბოლოს, დენის ტარიფის გაზრდა ერთგვარი მძიმე აკორდი იყო საქართველოს მოსახლეობისთვის. რამდენად გარდაუვალი იყო დენის გაძვირება?**

— დენის ტარიფი, რამდენიმე წლის განმავლობაში დგინდება. 3 წელია არ შეცვლილა ტარიფი, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში ლარი გაუფასურდა. ძველი ტარიფი თუ შენარჩუნდება, ენერგეტიკული კომპანიები წავლენ წაგებაზე და დენი ისევ არ გვექნება, როგორც ეს იყო XX საუკუნის 90-იან წლებში.

ამას ემატება ეკონომიკის გაჩერებაც. ელექტროენერგიის გენერაციის დროს წარმოებული ელექტროენერგიის დასაწყობება და შენახვა შეუძლებელია. რასაც აწარმოებ, ის უნდა მოიხმარო, მაგრამ, როცა გაჩერებულია ეკონომიკური ობიექტები, სასტუმროები, რესტორნები და სხვა ობიექტები, ეს ნიშნავს, რომ გენერაციის იმავე დონის პირობებში მომხმარებელი ნაკლებია. ნაკლებ მომხმარებელს კი მეტი საფასური ექნება გადასახდელი, რათა ხარჯი დაიფაროს. ეს წმინდა ეკონომიკური პროცესია. ამ შემთხვევაში მთავრობის ფუნქციაა, შეუმსუბუქოს მოსახლეობას მდგომარეობა და გაზრდილი ტარიფის ნაწილობრივ კომპენსირებაზე იზრუნოს. ამიტომ 300 კვ/სთ-მდე მეტი დანახარჯის კომპენსირებას თავის თავზე იღებს სახელმწიფო ბიუჯეტი. კრიზისის დროს, ეს სწორი გადაწყვეტილებაა.

**— ამ ლოგიკით, ეკონომიკის ამოქმედების შემთხვევაში დენის საფასურიც უნდა შემცირდეს, მაშინ...**

— ეს ვნახოთ მომავალში. ჩვენ ისიც არ ვიცით, როდის დაიწყება პოსტკრიზისული პერიოდი, როდის დამთავრდება პანდემია. ვინმემ მსოფლიოში ეს იცის? ერთი მედიკოსი, ან ორგანიზაცია მითხარით, ვინც იცის, როდის დამთავრდება პანდემია.

**— როგორი იქნება 2021 წელი საქართველოს ეკონომიკისთვის?**

— პანდემია ერთ, ან სამ თვეში რომ არ დასრულდეს, ეს უნდა გავითვალისწინოთ. 2021 წლის დეკემბერშიც რომ დასრულდეს პანდემია, უნდა ჩავთვალოთ, რომ მსოფლიომ გაიმარჯვა. თუ უფრო ადრე დასრულდება, რა სჯობს ამას...

# გენერალი გიორგი მათიაშვილი გენერალ სტიუარტ პიჩს შეხვდა

**საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ სტიუარტ პიჩს შეხვდა. შეხვედრა ქ. ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა, სადაც ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის ძალების მეთაურების დონეზე შეხვედრები მიმდინარეობს.**



გენერალმა მათიაშვილმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმაღლესი სამხედრო ორგანოს თავმჯდომარეს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ნატოში გაწევრიანების გზაზე ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა შეხვედრაზე რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემოსა და ახალ გამოწვევებზე ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესზე, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებზე, ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებსა და ნატოს ეგიდით ავღანეთში მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში" საქართველოს კონტრიბუციაზე.



იური პაპასქუა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ტელ: 574-34-64-27

# ხელმოცარულნი „იაფი ფულისკენ“ გარბიან!



**პირწავარდნილი დიქტატორი იყო, ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს, არაფორმალურად მართავდა, — გედიდგულება, ჩლიქებზე დგება, ხელებს გიშლის, კარებს გილეწს, პარლამენტში გივარდება, „ცესკოში“ შეჭრას ცდილობს ვიღაცით შეგულიანებული, დაბოლილი და გონიერებისგან დაცლილი ობივატელი...**

**რაც ივანიშვილს აგინეს, ვერც ერთი დიქტატორი მაგის მეასედსაც ვერ აიტანდა.**

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ბევრი წავიკითხე და მოვისმინე. **„ხილულად“** ყოფნის დროს ხომ მომხრეცა და მოწინააღმდეგეც მის გვარს წალმა-უკულმა ახსენებდა. აწიც, „საუკუნის ქველმოქმედის“ გამოჩენასა და **„უჩინრობაში“** გარიდებაზე, ბევრი დაიწერება და ყურს მოსმენაც მოსწყინდება.

ვინ ტყუოდა ან ვინ იბრალებს მართლის მაუწყებლობას, გარჩევას არ ვაპირებ — ეს ყველაზე დიდი უგუნურება იქნება, მაგრამ დღეს **ფუჭი ლაქლაქი პროფესიად იქცა, ოპონენტი — მოსისხლე მოწინააღმდეგედ, ოპოზიციონერი — ქვეყნის მტრად, სიცრუის ტირაჟორად, მხოლოდ „შავის“ აღმრიცხველად ჩამოყალიბდა;** ახალგაზრდობამ სიმართლე არ იცის, სწავლას მოწყვიტეს, ქუჩაში ფარად გამოჰყავთ; ოღონდ ხელისუფლებას დააკისრონ პასუხისმგებლობა, საკუთარ წვლილს ცუდად ყოფაში ვერავინ ხედავს; თუ ცუდი რამ ხდება, ამხილოს და გამოსწორებაში ქვეყანას გვერდით დაუდგეს, არავის უნდა; მხოლოდ პირველკაცობას ეპოტინებიან და თუ ამას ვერ მოახერხებენ, ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა, მეწყერს წაუღია ყველა სხვა საქვეყნო საზრუნავი. ზოგს ჯიუტად არ სურს იმის დაჯერებაც, რასაც საკუთარი თვალით უყურებს, სხეულით გრძნობს, გონებაშიც ჩამჯდარი აქვს. **მოთხოვნა — ნორმად, თავის მართლება — აქტიურობად, სხვაზე გადაბრალება — საქმის კეთებად აღიქმება. ეს საშინელი, გადამდები სენია და უნდა შევაჩეროთ**. ამიტომაც გავბედე ხმის ამოღება, — იქნება ვინმემ ყურად იღოს და თუნდაც ერთი გაერიდოს გადაგვარებას.

2011 წლიდან იმდენჯერ ახსენეს ივანიშვილის გვარი, დათვლას უახლესი მრიცხველიც ვერ შეძლებს. ზოგ „ზომიერებიდან გასულს“, მიკროფონთან კეკლუცის დროს, საუბრის დაწყების, შუა და ბოლო ნაწილში რამდენჯერმე უნდა ეხსენებინა ბიძინა, როგორც ურჩხული, წყაროს სათავე რომ ჩაუკეტა სოფელში მცხოვრებთ.

ივანიშვილის მოღვაწეობასა და **„პოლიტიკიდან მშვიდად გაცლაზე“** დაწერილ „ათას სურნელოვან შვავში“ მაღალფასეულსაც გამოარჩევს დაგეშილი ყნოსვა. დახვეწილად, უთუოდ საინტერესო რაკურსით, იუმორგარეულად თუ დაფიქრებით, არაერთი გემოვნებიანი, ნიჭიერი კალმოსნის მიერ ჩამოქნილია ჩვენი დროის ყველაზე გავლენიანი აქტორის პორტრეტი. ბევრმა, მათ შორის, კარგად იცის, სად ჩაამუქოს ფერი, სად მიანათოს სხივი, სად „გაბრაზდება“ კალამი და სად შეჩერდეს. ისინი ყველაფერში, შესაძლოა, ვერ დაითანხმო ან თალხში უფრო თეთრი გეხილებოდეს, მაგრამ ეს მათი ხედვაა, აქ მიუღებელი არაფერია და არც საწყენი — ყველა სხვადასხვანაირად კითხულობს გალაკტიონს, ყველას განსხვავებულად უღიმის ლეონარდოს „მონა ლიზა“. ამ „პორტრეტებში“ შტრიხების მეტი წილი მკაფიო და შაბლონურისგან განსხვავებულია; მეტია აქ მართალიც და სახელდახელო გაზვიადების კვალიც ილანდება. სწორედ მართალგარეული, სტრიქონებს შორის სიცრუეშეპარებული ხდება საყურადღებო და, გულწრფელად რომ ვთქვა, საშიშიც. ამას ნიჭიერები უკეთ ახერხებენ. ნიჭიერი კაცის მოქმედებებია გადამდები (კორონავირუსივით ვრცელდება); მათ მიმიკებს ბაძავენ, აჩემებულ სიტყვებს იმეორებენ, სტრიქონებს შორის (შეგნებულად თუ შემთხვევით) ჩაგდებულ აზრებს საკუთარივით ავრცელებენ და სარწმუნოსავით ჟღერს მერე „ორლობის ჭორიკანების“ მიერ აუდიტორიებში, სოფლის „ბირჟებზე“ ან უფრო დიდ თავყრილობაზე დაგდებული ასეთი „სასხვათაშორისო შეფასება“, თორემ ყველაზე ცნობილ შალიკოს ნალაყბევს უკვე ყურს არავინ უგდებს.

სულაც არაა გასაკვირი, რომ საქართველოს ისტორიაში ყველაზე მდიდარი ადამიანის, ბიზნესმენის, ქველმოქმედისა და მეცენატის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას მითქმა-მოთქმა გამოეწვია. მტერიც ბევრი ჰყავთ ასეთ რჩეულებს, მლიქვნელებიც აეკიდებათ, უმადურებსაც რა გამოულევთ, ბოლოს არც მადლიერნი რჩებათ.

ახლა მომავალზეც დაიწყეს ბჭობა — **რომ იყო, რა მოგვიტანა, იყო და გამოხრა სოფელი, წავიდა და უთვალავი ვალი დაგვიტოვაო** — რას არ იტყვის კაცის ენა, — შენებას ნგრევად წარმოაჩენს, გაცემაში მომხვეჭელობას მოილანდებს, როგორსაც გინდა, ისეთ მუსიკაზე დაიწყებს როკვას. ზოგი წარსულის, აწმყოსა და მომავლის დაკავშირებასაც ახერხებს და ივანიშვილის საქმიანობის გენეალოგიიდან ერთი ხელის გაწვდენაზე ქვეყნიერების დასასრულს ხედავს, სიბინძურეს ანთხევს...

ამხედრებულ, ხმაშემართულ ლაყბოსანთა შორის უმეტესობა ისეთია, არც იცის რისთვის აფრქვევს შხამს და ბოღმას, ვერ აცნობიერებს რას ამბობს, თვითონ არაფერი უკეთებია, არაფრის მაქნისია, შაურს ვერ გააგდებინებ, უქონელია, მაგრამ გამოჩენა უნდა, ხმაურობს და ყურადღებას იქცევს — ამით იმას „ამტკიცებს“ უფრო, გასაქანი არ მიეცა, თორემ ყველა სხვას გადაასწრებდა დიად საქმეში; მას რომ მოუსმინონ, ააყვავებდა გავარვარებულ უდაბნოებსაც კი...

ჩემს გაოცებას ყოველთვის იწვევდა მოკვდავთა ასეთი ქცევა — ვის რა წაუღია ამ სოფლიდან იმ სოფელში და მაინც შური, ორპირობა, უმადურობა, დაუნახაობა ზეობს. ახსნაც, რა თქმა უნდა, მოიძებნება — ასეთი უკიდურესობების რელიგიური, მატერიალური თუ სხვა მსოფლმხედველობრივი საწყისები ცნობილია, — ცუდსა და კარგს ერთმანეთი უჭირავს. სხვანაირად საყრდენს მოსწყდებოდა სამყარო. მაგრამ ამდენი „ანტი“ ერთად რომ იყრის თავს, ეს ჩანს ასე აშკარად და გაღიზიანებასაც სწორედ ეს იწვევს, თუმცა, ამ დასაბამისეული წონასწორობის ერთ პინაზე იმდენად კაშკაშაა ბიძინა ივანიშვილის „ნათელი“, საპირწონედ, მის გასამუქებლად ამდენი „სიბნელე“ სად უნდა შეგროვდეს?.

**ივანიშვილის „2011 წლამდელ, კერძო ცხოვრების წესიდან“ გამოჩენას როგორი კუთხითაც არ უნდა შევხედოთ, მან უთუოდ წარუშლელი კვალი დააჩნია საქართველოს 21-ე საუკუნის ბობოქარ დასაწყისს და შემდგომში მოსალოდნელ გარდაქმნებს. გვინდა თუ არ გვინდა ამის დანახვა, პირადი კეთილდღეობის შესაქმნელად არ იყო ეს გადაწყვეტილება მიღებული და არც მის წასვლაშია „მშვიდი სიბერის“ საწინდარი — მოვიდა შეგნებულად, გათვითცნობიერებული მისიით, არა დიდებისა და გავლენის გასაძლიერებლად, სხვების მიერ მიტაცებული ძალაუფლების ხალხისთვის დასაბრუნებლად, განასრულა საქმე, რაც იტვირთა (თუ განგებამ დააკისრა) და ლაო ძისებურად „გაწყვდიადებულ, გასხივოსნებულ წიაღს დაუბრუნდა“. არ უსარგებლია არც ერთი სახელისუფლო სიკეთით, უანგაროდ ემსახურა ხალხს, რაც მოიხვეჭა — ფული, სიმდიდრე, ნდობა, სიყვარული, ყველაფერი უკლებლივ, მშობელ ქვეყანას მოახმარა და ვალმოხდილი „სიმარტოვეში უკუდგა“.**

**ივანიშვილმა შეძლო ხელისუფლებისგან მშვიდობიანად ჩამოეშორებინა ძალადობაზე, ავანტიურაზე, პირად ამბიციებზე, გამორჩენაზე დაფუძნებული რეჟიმი და ქვეყნის დემოკრატიული, მშვიდობიანი განვითარება შეუქცევადი გახადა. ჩვენს ისტორიაში პირველად, ივანიშვილმა საკუთარი ინიციატივით დათმო ძალაუფლება მაშინ, როდესაც დამსახურებულად შეეძლო ემართა, მიეღო ყველაზე მაღალი თანამდებობა (ვიცი, ამიკლებს ახლა ოპონენტი — დაათმობინეს, ოპოზიციურმა ძალებმა აიძულეს, დასავლეთმა ურჩია, ოკიანის გაღმა გამოეცალა მხარდამჭერი, წყალში ჩაეყარა ტრამპის საარჩევნო კამპანიის დაფინანსება — ჭორია ეს უნიჭოდ აღწერილი სცენარი).**

**ყველა ადამიანს აქვს საკუთარი სამყარო, დანიშნულება,, გარემო, რომელშიც თავს გრძნობს ლაღად, მშვიდად, კეთილმოწყობილად, არ იტაცებს ძალაუფლება, უპირატესობანი. ივანიშვილიც არაა გამონაკლისი. მისთვის პოლიტიკა არ იყო საყვარელი გასართობი, მაგრამ მან უფრო მეტი შეძლო, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს სხვა ხმაურიანმა პოლიტიკოსებმა. ტიტულოვანი და პოლიტიკაში მოღვაწე ჩამქრალი დიდების ლიდერები ძალადობით, იარაღით, რევოლუციით გამოჩნდნენ საზოგადოებაში და ზენიტში ყოფნას ძალადობითვე ინარჩუნებდნენ. ივანიშვილი სრულიად განსხვავებული გზით მოვიდა, მშვიდობიანად, გვერდზე გასწია მოძალადეთა ხროვა, წინასწარ განაცხადა, მალე წავალო, დაპირისპირებულებთან (ისინიც ხომ ჩვენი მოქალაქეები არიან) თანაცხოვრების რთული, მაგრამ აუცილებელი, სტანდარტი შემოიღო და სახელისუფლებო კარიერიდან თავისივე ნებით, უხმაუროდ, სროლის გარეშე ჩამოვიდა.**

**რა არის ეს, თუ არა მსხვერპლი, ყველაზე დიდი აქტივის შეწირვა ხალხის სამსახურისთვის?!**

მან ლიდერების ეპოქა დაასრულა, გაიხურა კარი, დატოვა გარემო, სადაც სისტემა უნდა მუშაობდეს და არა შემთხვევით ამოტივტივებული, ძალადობით მოსული ან თუნდაც ხალხის მიერ აღზევებული და კერპად დასმული მესიის გონიერება. **თუ ხალხის მმართველობამ ვერ იმუშავა, სხვას ნუ დავაბრალებთ, ნურც ახალი ბელადის მოლოდინში გავიტრუნებით — საკუთარ უუნარობაში ვეძებოთ მიზეზიც და, თუ გნებავთ, — გამოსავალიც.**

ეს კაცი იმ დროს მოვიდა, როცა მარყუჟი უკვე განასკვული იყო, წამიც და... ეშაფოტიდან ჩვენი ჩამოხსნა ძლიერ დაგვიანდებოდა. წასვლაც იმ დროს გადაწყვიტა, როცა ყულფში არავინ გაყოფინებს თავს და ყელიდან ბაწარი ჩამოხსნილი გაქვს, სუნთქავ, მკლავიც გერჩის, გამოგაფხიზლეს... აწი კაკანათში კვლავ თუ შეგიტყუეს, თავს დააბრალე, ისევ შველას ნუ მოსთხოვ!

**მოვიდა** — რატომ მოვიდა, ოლიგარქს პოლიტიკაში რა უნდაო?! **წავიდა** — რატომ წავიდა? პასუხისმგებლობას გაექცაო. **არსად არ წასულა,** — კვლავ კულუარებიდან იწყებს მართვასო. აბა, ასე, პრიმიტიული, უაზრო მსჯელობა შეიძლება?!

მოსვლამდეც ივანიშვილი თავის რესურსებს გადაუდებელ, საჭირო საქმეს ახმარდა. იქ იყო, სადაც ყველაზე მეტად ჭირდა, ოდნავი დაყოვნებაც საქმეს გააფუჭებდა ან უკვე გაკეთებულს სრულად გაანადგურებდა; ჩუმად იყო და გაღებულ სიკეთეზე არ ყვებოდა (ნუ მომაყრით ახლა, ივანიშვილი ამით წინასწარ იმზადებდა ნიადაგს ხელისუფლებაში მოსვლისთვის, ყველა თავიდანვე მოისყიდაო. **მკრეხელობაა ეს და სიბინძურე!**).

ივანიშვილი იმათ არ ჰგავს, არც იმათი გორისაა, ვინც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას ვარდების რევოლუციიდან ითვლის, ვინც იბრალებს „დამსახურებას“ ქვეყნის წინაშე, აქტივად იჩემებს კერძო კაპიტალით აშენებულ გზებს, სახლებსა თუ სკვერებს და ამაზე დღენიადაგ ყველა აუდიტორიაში ტრაბახობს.

პრემიერ-ყოფილი გულხელდაკრეფას არც აწი აპირებს — ჩუმად ილვაწებს, ჩუმად გასცემს შემონახულ თუ კვლავაც მოგროვილ სიკეთეებს და დასასრულ, სოფლიურ უსასრულობას ჩუმადვე შეუერთდება.

ბევრი ისტერიკაშია, რომ ივანიშვილის გამოჩენამ მათი გეგმები არივ-დარია.

კი, ბატონო, დავუშვათ ეს ასეა. მაგრამ თქვენ მოსვლა და საქმის გაკეთება ვინმემ დაგიშალათ? ფული ვერ იშოვეთ და არ გეყოთ? - ფულის შოვნას ჭკუა უნდა, დახარჯვას უფრო მეტი გონიერება სჭირდება. ხვდებით, რაშია განსხვავება? ვინც არ იცის, როგორ იშოვოს ან როგორ „გაფანტოს“, სიყვარული ვისაც არ განუცდია, ის ამას ვერ გაიგებს, „მდიდარი კაცის“ ვერც საქვეყნო საფიქრალსა და საგონებელს ჩაწვდება.

ვინც ელოდა, რომ ივანიშვილი ჯიბეებს გამოუტენიდა და შინაბერად ჩარჩენილ „მზეთუნახავს“ გაამზითვებდა, გეთანხმებით, — „მწარედ მოატყუეს“. მაგრამ ამაში მისი დადანაშაულება უნიჭობა, უვიცობა, გაუნათლებლობა უფროა...

ვინც ფიქრობდა, რომ ივანიშვილი დაასაქმებდა, კაბინეტს, მაღალ ხელფასს, მომსახურე მდივანს, პერსონალურ კომპიუტერსა და ლიმუზინს გამოუყოფდა, რა თქმა უნდა, მას მოლოდინი გაუწბილდა - ხელი უნდა გაანძრიო, მიდგე-მოდგე, ბიძია, სახნავ-საბარგი, რამდენიც გინდა, იმდენია. ზარმაცობა და ამპარტავნობა თუ არ გმართავს, სამუშაოს ყველგან იშოვი;

**ხალხი დაიმონა, მარიონეტად აქცია,** — ბოლო ხმაზე გაჰკივის დღეს საზოგადოების კეთილდღეობისთვის „გულდათუთქული ოპონენტი“.

თუ შენში მონა არ ზის, თავისუფლებას ვერავინ შეგიზღუდავს;

**პირწავარდნილი დიქტატორი იყო, ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს, არაფორმალურად მართავდა,** — გედიდგულება, ჩლიქებზე დგება, ხელებს გიშლის, კარებს გილეწს, პარლამენტში გივარდება, „ცესკოში“ შეჭრას ცდილობს ვიღაცით შეგულიანებული, დაბოლილი და გონიერებისგან დაცლილი ობივატელი...

# „ოცნება“ – სრული სვლით!..

რაც ივანიშვილს აგინეს, ვერც ერთი დიქტატორი მაგის მეასედსაც ვერ აიტანდა;

ტყუილად ფიქრობთ, რომ შეგზღუდეს, არჩევანი გაგიყალბეს, დაწინაურების შანსი არ მოგცეს – არ გაქვთ, ბატონებო, თქვენ უპირატესობა და სხვას რატომ უნდა დააბრალოთ თქვენი უსუსურობა, მე ვერ ვხვდები... ხმაურით ცდილობთ გადაფაროთ თქვენი სისუსტე, გინებით გინდათ გადაფაროთ თქვენი არშემდგარობა?.

... და საერთოდ, თუ ვერ ხვდებით, ვერ ცვლით თქვენი უსუსურობით, ვერ გიპოვიათ გზა და არც იცით, საით, როგორ იაროთ, სხვას რატომ აბრალებთ, სხვა ბელადს რატომ უხმობთ, სხვა რატომ უნდა გელოლიავოთ?!...

ივანიშვილმა საზოგადოება ბნელი წარსულის ლაბირინთებს სრულიად განსხვავებული, არაძალადობრივი, ბევრად რთული გზით გამოატარა და დაგვანახა, როგორ ესწრაფვიან მედროვენი ძალაუფლებას სტომაქების ამოსაყორად. ჩვენში ყოველთვის იყო და ახლა მეტად მომრავლდნენ ისეთნი, სხვის თვალში წველს რომ ამჩნევენ, საკუთარში კი დირესაც ვერ ხედავენ. დღეს „ექსპერტები“ უფრო მეტი გვყავს, მაგრამ ამით პრობლემები ოდნავადაც არ შეთხელებულა.

გავა დრო და... **გაზაფხულმა უკეთ იცის, თუ რა დარჩება თოვლზე ნაგვირისტალი ბრჭყვიალა პანორამებიდან. ზაფხულის მოსვლამდეც კარგად გამოჩნდება, შერჩებათ თუ არა სახე ნათოვლარ კლდეებზე თეთრად ამოტვიფრულ გმირებს მითოსის სამყაროდან.**

არც მე და ბევრი სხვაც არ ფიქრობს, რომ ივანიშვილის სამიზნე „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში გადასვლა იყოს. უკეთესის დანახვის სურვილი თუ არ გაგიჩნდება, იკოტრიალებ წუმპეში, ვერც აპარტამენტებს დაინახავ და საკუთარი ბუნაგიც სასახლედ მოგეჩვენება – **მომავალმა უნდა აჯობოს აწმყოს** – განვითარების დინამიკა ამაშია და ჩემი საოცნებოც ესაა. კარგ მთქმელს, კარგი გამგონე უნდაო, – ნათქვამია!

უკეთესზე უკეთესი ყოველთვის არსებობს. უკეთესს რომ გააკეთებ და მეტს რომ შეძლებ, აი, მაშინ ილაპარაკე წელგამართულმა...

**კაცმა, ჭორვილადან აფრთიანებულმა ღარიბმა ჭაბუკმა, საკუთარი თვალუწვდენელი იმპერია შექმნა (აბა, შეძელი და გაუტოლდი, თუა ადვილი), მართა, განადიდა, ათასი სხვაც დააპურა, სახლიც ააგო, ხეც დარგო, ქვეყანასაც შეეხიდა. მისი „კაპიტალი ერთი ქართველის კერძო მფლობელობიდან სრულიად საქართველოს, ყველა ქართველის სამსახურში იხარჯება.“ რა გინდა სხვა, სამდურავი რა გაქვს?!**

**გომთან საჩხერისკენ გადასახვევიდან ჭიათურის შესასვლელამდის, გზის, ყველა ეზოკარის, სახლების კეთილმოწყობის, საავადმყოფოს, სკოლის, რიტუალების, კომუნალური გადასახადების ხარჯები, ივანიშვილის სახსრებით ფინანსდებოდა. მისი ძალისხმევით საჩხერის რაიონში 11 ათასი ოჯახისთვის სახლებს სახურავი შეუცვალეს, გაზი შეუყვანეს, გაზქურაც მიიტანეს, გათბობა ჩაურთეს, სატელევიზიო არხებზე წვდომა მიეცათ, – ყველამ ერთნაირად როდი მიიღო გამოწვდილი სიკეთე...**

**გადაჭარბებულმა ზრუნვამ, სხვისი პრობლემების გადაწყვეტამ (მით უფრო, როცა არც იციან, ვინაა კეთილმყოფელი) მიჩვევა, გაზარმაცება, ახალი მოთხოვნების გაჩენა, გაზლუქუნება და ათასი უბედურებაც იცის, – ეს სხვა თემაა, მაგრამ როცა შეგიძლია და შენი ხალხისთვის არ გენანება, ამაზე, შესაძლოა, არც იფიქრო. არცაა გასაკვირი, ასეთი ხელგაშლილობა ცუდად შეაფასოს იმან, ვისაც ათასობით სხვისი სახლის გადახურვა კი არა, საკუთარი ერთი ჭერიც ვერ შეუკეთებია და აწვიმს, შეშის მარაგი არ დაუწყვია და სცივა, ქათამს არ ზრდის, კვერცხი არ აქვს, ლობიოს დათესვა არ უცდია, სიმინდის მოსავალი ტყიურ ფრინველებს გააქვთ.**

მართლაც, საქმე მადლიერებაში როდია. **ვერაფერი ახლოსაც ვერ მივა იმ სულიერ კმაყოფილებასთან, რასაც შეჭირვებულებისთვის დახმარების გაწევა, ხალხისა და ქვეყნისთვის უანგარო სამსახური განიჭებს.** ამას ის ვერ გაიგებს, ვისაც ეს არ განუცდია და არც უცდია, განიცადოს.

მარტო ეს როდია ივანიშვილის მიერ გაღებული სიკეთის ჩამონათვალი (თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, ათჯერ ათ მოკვდავს ეყოფოდა ეს დიდსოფელში ვალმოხდილად გამგზავრებისთვის).

**700-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა, სამების ტაძრის აგება, ჯარი, პოლიცია, თეატრები, პარკები, საყოველთაო ინტერნეტიზაცია, სპორტი, რაგბის ინფრასტრუქტურა ქვეყნის მასშტაბით, კურორტები, ჯანმრთელობა, ასობით გადარჩენილი სიცოცხლე, განათლება, ქალაქები... ივანიშვილის ფონდიდან ფინანსდებოდა.** ვინ მოთვლის, რამდენს უშუალოდ დაეხმარა. ქველმოქმედების არასრული სიის ჩაკითხვა დაგღლის.. და ჩამოთვლასაც ვერ შევძლებ, – არავინ იცის ამ ერთმა კაცმა რამდენი შეძლო. გაიხედავ მარცხნივ, მარჯვნივ, მაღლა, დაბლა, ქვესკნელშიც რომ ჩაძვრე, – ყველგან, აღმოსავლეთში, დასავლეთში, სამხრეთით თუ ჩრდილოეთით, ბარსა და მთაში, ივანიშვილის ნაგები, გაკეთებული, აღდგენილი დაგხვდება; ასწლეულებს გაუძლებს, ხალხს, ქვეყანასა და თქვენს მოდგმას გამოადგება; ახლაც სარგებლობთ და იფერებთ მისი პიროვნული და მატერიალური რესურსებით გაკეთებულ სიკეთეებს.

პოლიტიკიდან წასვლამდე 30-მდე გრანდიოზული ობიექტი, არანაკლებ ერთმილიარდ-ნახევარი დოლარის ღირებულების ქონება საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გადასცა. ბევრი ქილიკობს, ივანიშვილმა ამით გადასახადებს თავი აარიდაო – **ჰოი, საკვირველებავ, რა სახელი შეიძლება ამას დაერქვას?!**

ვინც ასეთ უმსგავსობას ახმოვანებს და, მით უფრო, იჯერებს, ჰკითხეთ ერთი, იციან რას ნიშნავს საქველმოქმედო ფონდისთვის აქტივების გადაცემა? რა სარგებელი შეიძლება აქედან ივანიშვილის ოჯახმა მიიღოს? რა დანიშნულება აქვს გადასახადებს? რატომ უნდა იხდიდეს ივანიშვილი გადასახადს იმაში, რასაც უანგაროდ ქვეყნის კეთილდღეობას ისედაც ახმარს?

რად ხართ ასე თვალახვეული, მიამიტი და სხვისი დიდკაცობა რად გიქმნით „რაციონალურ წარმოდგენებს ადამიანის არსებობის სასრულ საზღვრებზე“?

ივანიშვილი ერთია და ამდენი შეძლო...

საქართველოს დიდი მეცენატები, ქველმოქმედები ადრეც ჰყავდა. დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, ნესტორ კუცია, გიორგი ქართველიშვილი, აკაკი ხოშტარია... მათი გაღებული სიკეთე ახლაც ასაზრდოებს ქვეყანას. **ივანიშვილმა უფრო მეტი შეძლო, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა კეთილმყოფელმა.**

საქართველოს ერისკაცნიც, სახელოვანი მამულიშვილნიც ბევრი ჰყოლია...

**ივანიშვილის ბიზნესსაქმიანობა, საზოგადო მოღვაწეობა, საქართველოსთვის გაღებული სარგებელი, მნიშვნელობითა და მასშტაბით, სწორუპოვარი ისტორიული მაგალითია.**

წარმოიდგინეთ, ამ თვალწარმტაც, ნიჭიერებით სავსე, უსაზღვრო შესაძლებლობების ქვეყანას ათი ივანიშველი რომ ჰყავდეს, ევროპის ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოს ხომ გადავასწრებდით?!

**მაშ, რად ცდილობთ, ეს ერთი დიდი კაცი ჩაკორტნოთ? არ აჯობებს, გვერდში დაუდგეთ, შეეჯიბროთ, იივანიშვილოთ?** რამდენს დააპურებდით, რამდენს თავშესაფარი ექნებოდა და ღირსეული სამუშაო გაუჩნდებოდა.

ცხადია, ყველაფერს ივანიშვილის რესურსები ვერ გასწვდა, ყველაფერი ვეღარ დალაგდა, სიღარიბე ჯერ კიდევ მეზობლობს ჩვენთან, მაგრამ ეს არ არის ქვეყნის დასასრული. თავად ივანიშვილმა **სიღარიბეში აიდგა ფეხი, უსახსრობაში გაუგო გემო სხვისგან გამოწვდილ დახმარებას, უქონლობაში გამოსცადა მონდომების ფასი და საკუთარი შესაძლებლობა.** მერე ეს სიკეთე გაასმაგებულად დაუბრუნა ხალხს და ქვეყანას. დარჩენილ დასალაგებელს ჩვენც შევაშველოთ ხელი – საქმეს მივხედოთ.

ყველას ივანიშვილობას ვერ მოსთხოვ, ვერც ქვეყნისთვის თავგანწირვას აიძულებ, მაგრამ საზოგადო მოღვაწეს, პოლიტიკაში მოსულს პასუხისმგებლობა მაინც უნდა გააჩნდეს, სულ ცოტა, ის მაინც უნდა იცოდეს, რას ლაპარაკობს.

ვინც გაიძახის გაყალბდა-გაყალბდაო, მათ განა ქვეყნის კეთილდღეობისთვის უნდათ ხელახალი არჩევნები, პარლამენტარობა და მართვა? თავისი თავი ადარდებთ და არჩევნებით გასასვლელ სიებში საკუთარ გვარ-სახელს ეძებენ. **პოლიტიკა ბიზნესად იყო ქცეული** და ყველა ხელმოცარული ინერციით „იაფი ფულისკენ“ გარბის.

**რაც გვჭირს, უცოდინარობის, გაუნათლებლობის გამოა!**

ივანიშვილმა კარგად იცის განათლების ფასი. გარდა იმისა, რომ მან ხალხს „თევზიც“ ბლომად დაურიგა, მორთულ-მოკაზმული ანკესიც მისცა – თევზის ჭერაში დაოსტატებისთვის გზა მიუთითა. განათლებაში ჩადებული მისი ინვესტიცია – ქუთაისის საერთაშორისო ტექნიკური უნივერსიტეტი, ყველაზე დიდი საჩუქარია ახალგაზრდების გადასარჩენად. ეს საქმეც წარმატებით განასრულა, მომავლისკენ გაჭრილი, მოკირწყლული ფართო შარა დაგვიტოვა და კვლავ გაუჩინარდა.

**რა გინდათ, რას ერჩით?! დააყენეთ ის კაცი იქ, სადაც წავიდა. აწი თქვენ უკეთესად აკეთეთ, რაც მან ვერ შეძლო.**




# კახა კალაძე: დავეხმარებით ყველა ოჯახს, ვისაც მართლა უჭირს!

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, თბილისის მერიაში დახმარებების მოთხოვნასთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი წერილი შემოდის. ბოლო პერიოდში კი აღნიშნული თემით, კონკრეტული ტელევიზიებისა და ოპონენტების მხრიდან მანიპულირება ხდება.

**„რა თქმა უნდა, არავინ ტრაბახობს იმით, რომ ჩვენ ძალიან ბევრ ადამიანს დავეხმარეთ. ეს სატრაბახო ნამდვილად არ არის, მაგრამ ფაქტი უნდა იყოს წარმოდგენილი ისე, როგორც არის. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები სოციალურად შეჭირვებული ოჯახი იყოს ქვეყანაში, თუმცა ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ რა ხდება ზოგადად, მსოფლიოში. გვაქვს სერიოზული გამოწვევები და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ყოველდღიური მუშაობით, საზოგადობის მხარდაჭერითა და თანადგომით, ამ პრობლემების მოგვარება შესაძლებელია. ძალიან ბევრი წერილი შემოდის დახმარებებთან დაკავშირებით და თითოეული დაავადების ისტორიის, ფორმა 100-ის უკან დგას ადამიანების ცხოვრება, მათი წარსული და მისი ჯანმრთელი მომავლის უზრუნველყოფა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მხარში დავუდგეთ მათ“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, აღნიშნული პრობლემების მოგვარების პროცესში, ადამიანების სხვადასხვა ნიშნით დაყოფას ადგილი არასდროს ჰქონია.

**„ერთი რამ უნდა აღვნიშნო და ხაზი გავუსვა, რომ როგორც ქალაქის მერი, როგორც თბილისელებისგან არჩეული ადამიანი, ამ პრობლემების მოგვარებაში არასდროს დამიყვია ადამიანები პარტიული კუთვნილების, სქესის, კონფესიური კუთვნილების ან სხვა გარემოებების მიხედვით. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ყველას გავუწიოთ მხარდაჭერა და თანადგომა. ძალიან ბევრჯერ მაქვს ნათქვამი, რომ ვარ ყველას მერი. ჩვენი თანამშრომლებიც ზუსტად ამ მიდგომითა და განწყობით არიან. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ამ ქალაქში მცხოვრებ ადამიანებს მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ არსებული მდგომარეობა და ყოფა. თუ დახმარება იქნება საჭირო, ყველას დავეხმარებით, დაფინანსებაა საჭირო ჯანდაცვის მიმართულებით, მაქსიმალურად ყველას შევუწყობთ ხელს“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე სტატისტიკური მონაცემებიც წარადგინა. მისი განცხადებით, 2020 წელს ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ფარგლებში, 400 000-მდე მოქალაქეს გაეწია დახმარება. გარდა ამისა, დედაქალაქის მერმა ყურადღება გაამახვილა პლატფორმაზე, რომლის ინიციატორი თბილისის მერიაა. აღნიშნული პლატფორმის ფარგლებში, იმ ადამიანების პროდუქტებით უზრუნველყოფა ხორციელდება, ვისაც პანდემიის პერიოდში ყველაზე მეტად გაუჭირდა.

**„პანდემიის პირველი ტალღის დროს ძალიან ბევრ ადამიანს დავეხმარეთ. ვირუსის მეორე ტალღის დროს, მერიის მხრიდან განხორციელებული პროექტის საშუალებით, 18 000 ოჯახში მივიტანეთ პროდუქტები, ბიზნესის მხარდაჭერითა და თანადგომით კი დახმარება 4 200 ოჯახს გაეწია“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა საკუთრების დაკანონებისა და კოოპერატიული მშენებლობებით დაზარალებული მოსახლეობის მიმართ მერიის მხრიდან გატარებული ღონისძიებების შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, თბილისის მერიამ დაახლოებით, 1 400-მდე პირს ათწლეულების განმავლობაში, საკუთრებაში არსებული ფართები დაუკანონა.

**„მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვა დაკანონების მიმართულებით მიღწეულ შედეგებს. ესეც ჩემი წინასაარჩევნო დაპირება იყო. ქალაქში გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც წლებია კონკრეტულ საცხოვრებელ ფართებში ცხოვრობენ და მათი დაკანონება ვერ მოახერხეს. ჩემი მერობის პერიოდში, 1 400-მდე პირს კუთვნილი ფართები ერთ ლარად გადავეცით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმემ მიწა მიიტაცოს და შემდეგ მისი დაკანონება მოითხოვოს. ამას მუნიციპალიტეტი არ დაუშვებს. ჩვენ გვაქვს პროგრამები, რითაც დავეხმარებით იმ ოჯახებს, ვისაც მართლა უჭირს. ამ მიმართულებით მუშაობას გავაგრძელებთ. ვისაც ანალოგიური პრობლემა აწუხებს, მიმართოს რაიონულ გამგეობებს და მიიღებს სრულ ინფორმაციას, რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ შეძლოს კონკრეტული ფართის დაკანონება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახების მიმართ გატარებულ ღონისძიებებზეც ისაუბრა.

* * *

**მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ დედაქალაქში უკვე შესყიდული 100 ერთეული 12-მეტრიანი ავტობუსის შემოყვანით, ე.წ. ყვითელი ავტობუსების ჩანაცვლება დასრულდება. თბილისის მერია კი დამატებით, 8-მეტრიან 180 ავტობუსს შეისყიდის.**

თბილისის მერის თქმით, უახლოეს მომავალში ფასთა კვლევა ჩატარდება, რის შემდეგაც ტენდერი გამოცხადდება. მისივე თქმით, პარალელურად, მიმდინარეობს მიკროავტობუსების ჩანაცვლების პროგრამა, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდეს.

გარდა ამისა, თბილისის მერმა აღნიშნა, რომ ლიცენზიის მქონე ტაქსის მძღოლებს, რომლებიც მათ საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას არ მოახდენენ, ტაქსის ნებართვა გაუუქმდებათ. კახა კალაძის თქმით, ტაქსის მძღოლებს პანდემიის პირობებში, მიეცათ შეღავათი ტექნიკური ინსპექტირების გარკვეული დროით გადავადების სახით, თუმცა ეს ვადა უკვე ამოწურულია. ტაქსის მძღოლებისთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება თბილისის მერმა ვიცე-მერს, ირაკლი ხმალაძეს დაავალა.

* * *

**მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა საკადრო ცვლილებებზეც ისაუბრა და ვაკის, კრწანისის, გლდანისა და დიდუბის რაიონების გამგებლობის კანდიდატები წარადგინა.**

როგორც მან აღნიშნა, ვაკის გამგებლობის კანდიდატი **დავით კვინიკაძეა,** რომელიც წლების განმავლობაში, აღნიშნული რაიონის გამგებლის მოადგილე იყო. თბილისის მერმა კრწანისის რაიონის გამგებლად **ბექა მიქაუტაძის** კანდიდატურა წარადგინა, რომელიც ამ დრომდე, გლდანის რაიონის გამგეობას ხელმძღვანელობდა. რაც შეეხება გლდანს, აღნიშნულ რაიონს **ლევან ნაროუშვილი** უხელმძღვანელებს, რომელიც ამ დრომდე, გამგებლის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. დიდუბის რაიონის გამგეობას ირმა ზავრადაშვილის ნაცვლად, **ლევან ჯღარკავა** უხელმძღვანელებს, რომელიც თბილისის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის თანამდებობას იკავებდა. დედაქალაქის მერმა ყველა მათგანს მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა..



# პარლამენტში არშესვლა? — ეს სიგიჟეა!

## დავით ზარდიაშვილი:

# ხალხს ვერასოდეს მოატყუებ!

## ბიძინას გარეშე ოპოზიციაც ვერ იქმნება!

**...შემთხვევითი არაა, რომ ნინო ბურჯანაძემ დაამუნათა ბიძინა ივანიშვილი, ამდენი ფული გაქვს და შენი მომხრე ერთი პარტიაც ვერ იპოვე ოპოზიციაშიო?.. ფაქტობრივად, ბურჯანაძემ ამით უთხრა ივანიშვილს, დააფინანსე და თავად შექმენი ოპოზიცია, რატომ არ ქმნი ოპოზიციასო? ეს რომ გადაითარგმნოს, შეიძლება ბიძინას მიმართ მართლაც გაჩნდეს ასეთი დაკვეთა, რომ შექმნას ოპოზიცია, —** აცხადებს ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი.**



**— თავის დროზე „ქართული ოცნების" ლიდერშიპის პოლიტიკაში დარჩენის საკითხს ბიძინა ივანიშვილი განსაზღვრავდა, მათ შორის, ირაკლი ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილს განუწყვეტლივ უსვამდა კითხვას, „ბატონო ბიძინა, ხომ არ დადგა ჩემი წასვლის დრო?" ახლა კი რამდენად დროულად გადაწყვიტა ივანიშვილმა პოლიტიკიდან დისტანცირება და როგორ აისახება ეს ე.წ. ცხელი გაზაფხულის პირას მყოფ ქართულ პოლიტიკაზე?**

— ე.წ. პოლიტიკური ცხელი გაზაფხულის არ მჯერა, ეს გამორიცხულია. იაგო ხვიჩიამ კარგად თქვა, მათი მოწყობილი აქციები არ გაიშვასო. რისი აქციების ჩამტარებელია „ევროპული საქართველო?!" რა თქმა უნდა, იქნება სირთულეები, ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალია მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც კოვიდპანდემიის და ბევრი სხვა მიზეზის გამო, მაგრამ ეს პოლიტიკაში არ შექმნის გადაულახავ კრიზისს. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას, მან დრო სწორად შეარჩია, რადგან დიდი ხანია, დისტანცირებული იყო პოლიტიკიდან, მაინცდამაინც არ გვანებივრებდა საჯარო გამოსვლებით, ბოლოს მაშინ გამოჩნდა, როცა საარჩევნო კამპანია დაიხურა, „ქართული ოცნების" ბოლო შეხვედრაზე მივიდა, თანაც, როგორ მივიდა? ჯერ ჩანაწერი გაუშვეს, თითქოს იქ არ იყო, შემდეგ კი სულ ბოლოს გამოჩნდა, სცენაზე გამოვიდა, თითქოს ეს ყველაფერი ინსცენირებული იყო, რომ იგი წასვლისთვის ემზადებოდა. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი მართლაც წავიდა პოლიტიკიდან, რადგან, თუ ვინმე ყველაზე მეტად ჰგავს პარტიას ქართულ პოლიტიკაში, პირველ რიგში, ეს „ქართული ოცნებაა". ჩამოყალიბებამდე ჯერ ბევრი აკლიათ, მაგრამ „ქართული ოცნება" ყველას უსწრებს ამ თვალსაზრისით. რითი განსხვავდებიან დღევანდელი ჩვენი პარტიები ინსტიტუციური განვითარებით გამორჩეული რეალური პარტიებისგან? პირველ რიგში, იმით, რომ ჩვენში პირად ურთიერთობებზეა დამყარებული პოლიტიკური პარტიების სტრუქტურა. არის ლიდერი და ლიდერების გარშემო შემოკრებილი ადამიანები, მათ შორის, პირადი ურთიერთობები აყალიბებს ამ პარტიებს.

ინსტიტუციური პარტია კი სულ სხვა რამეა, ის გამოხატავს მოსახლეობის შედარებით უფრო ფართო ჯგუფების ინტერესებს და ცდილობს, პოლიტიკაში ის ინტერესები გაატაროს. სწორედ ამ გზაზე დგას „ქართული ოცნება" და გარკვეულ ეტაპამდე ბიძინა ივანიშვილთან პირადი ურთიერთობით ხდებოდა ეს, დღეს უკვე ზედმეტია ბიძინა, აღარ არის საჭირო და ამიტომაც გაეცალა საკუთარ პარტიას, გზა მისცა იმას, რომ ინსტიტუციურად განვითარდეს ეს პარტია და პირად ურთიერთობებზე აგებული აღარ იყოს.

**— ცალკეული შეფასებებით, ეს არის „თვინიერ კრავთა" პარლამენტი, სადაც რომან გოცირიძისეული „მოგელანდებით"! შეიძლება გაისმას. სხვათა შორის, გახარიამაც არაკომფორტულად იგრძნო თავი ერთპარტიულ პარლამენტში. როგორ ფიქრობთ, თუკი ოპოზიციური ვაკუუმი არ ამოივსო, თვით „ქართული ოცნების" წევრებისთვისაც კი მალე მოსაწყენი არ გახდება ასეთი პარლამენტი?**

— ეს არის პრობლემა და გამოსავალი უნდა მოინახოს. პრობლემის გასაღებია პარტიულ-პოლიტიკური სისტემა. სწორედ პარტიულ-პოლიტიკურმა სისტემამ უნდა შვას „ქართული ოცნების" ალტერნატივა, ანუ რეალური ახალი ოპოზიცია. ფორმალურად როგორ უნდა მოვახერხოთ ეს, რომ პარლამენტში შემოვიდეს ოპოზიცია, ამას სჭირდება სერიოზული ფიქრი და გადაწყვეტილების მონახვა. არის ვარიანტი, რომ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდეს, მაგრამ მხოლოდ იმ მანდატების გასანაწილებლად, რაზედაც უარი თქვა ოპოზიციამ. ბატონმა მინდია უგრეხელიძემაც ამას წინათ იგივე ბრძანა, რომ შესაძლებელია, ეს მანდატები სხვა პარტიებზე გადანაწილდეს. საბოლოო ჯამში, როგორი იქნება 2021 წლის საპარლამენტო ცხოვრება, ამას სულ მალე დავინახავთ.

**— ირაკლი კობახიძე ირწმუნება, რომ 3-4 პარტია აუცილებლად შევა პარლამენტში თებერვლისთვის. ვთქვათ, ასე არ მოხდა, მაშინ ხელოვნურ ოპოზიციაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ, როგორც ეკა ბესელია იქცა ოპოზიციად და ვერც კი წარმოედგინათ, რომ ბესელია ოპოზიციონერი გახდებოდა, ასევე, გავლენ „ოცნებიდან" სხვა ადამიანები და „ოცნება" საკუთარ წიაღშივე შობს ოპოზიციას? ეს სცენარი მოსალოდნელია?**

— რასაკვირველია, ესეც შესაძლოა მოხდეს. ეს, ალბათ, ხუმრობაა, მაგრამ სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის. რა ვიცი, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ბიძინა ივანიშვილი შემოტრიალდეს პოლიტიკაში და ოპოზიცია შექმნას. ჯერ კიდევ 2012 წელს ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, როგორც კი „ქართული ოცნება" გაიმარჯვებს, ცოტა ხანს ვიქნები პოლიტიკაში და მერე წავალო, რადგან ჩემი მიზანია „ნაციონალური მოძრაობა" ჩამოვაშორო ამ ხელისუფლებას, მერე გარედან ვეცდები, როგორც მოქალაქე, ჩემი ყველა რესურსი გამოვიყენო ხელისუფლების კონტროლისთვისო და, თუ აღმოვაჩენ, რომ ეს საჭიროა, მე თვითონ შევქმნი ახალ ოპოზიციასო. მე მგონი, ასეთი მდგომარეობა გვაქვს დღეს, რომ ოპოზიცია ბიძინას გარეშე არ იქმნება. ამდენად, ვინ იცის, იქნებ, ასეც მოხდეს, თვითონ ბიძინა წავიდეს ოპოზიციაში და შექმნას ოპოზიცია. ეს შესაძლებელია და აქედან რა გამოდის? — ის, რომ ბიძინას გარეშე ოპოზიციაც ვერ იქმნება!

**— იქმნება მხოლოდ „გირჩი" კუბში და კვადრატში?**

— ზუსტად ეს შეგვიძლია ვთქვათ ამ ოპოზიციის შემხედვარე. რას ჰგავანან? რას ქმნიან? ამ ოპოზიციას აკეთებენ, აკეთებენ და გამოდის „გირჩი"... ამ წვალებას ერთი კარგი ტაბურეტკა გაეკეთებინათ, ის აჯობებდა!

**— თუკი ეს პარლამენტარები ბეთჰოვენსა და მოცარტზე ჭუკჭუკში აპირებენ დროის გატარებას, როგორც ამას ალეკო ელისაშვილი წინასწარმეტყველებს, მაშინ მათ რამენაირად ემჩნევათ, რომ მათგან ან ხელოვნური ოპოზიცია გამოვა, ამ ნამდვილი ოპოზიცია?**

— ელისაშვილს კი უყვარს ბევრი ლაპარაკი, შედი, დალოცვილო, პარლამენტში და გარედან კი ნუ ლაპარაკობ, შიგნიდან ილაპარაკე, რაც მოგწონს, ის გააკეთე. ეს ოპოზიცია თვითონვეა თავიანთი ექსტრემიზმის მძევალი. თავიდან რომ თქვეს, არ შევალთო, ახლა როგორ გინდათ, შევიდნენ? სხვათა შორის, ირაკლი კობახიძემ სწორად შენიშნა, რომ მათ კარგი არჩევანი აღარ აქვთ: პარლამენტში შევლენ, ეს ცუდია, რადგან გასაგებია, უნდა შეატრიალონ „პლასტინკა", გადმოაბრუნონ, აბსოლუტურად წაღმა ილაპარაკონ ის, რაზეც აქამდე უკუღმა ლაპარაკობდნენ. ეს რთული ამბავია... პოლიტიკაში რომ არის ინერცია, არც ერთ სხვა სფეროში არ არის იმდენი. მეორე მხრივ, **არ შევიდნენ პარლამენტში, ეს საერთოდ სიგიჟეა**. ახლა ცდილობენ, რაღაცნაირად „გააპრავონ" ის, რომ ხვალ-ზეგ შევლენ პარლამენტში. ცხადია, მძიმე მდგომარეობაში ვინც არის, ევრონაცები, ან თუნდაც ნაცები, ისინი არ შევლენ პარლამენტში, რადგან ეს იქნება მთელი მათი პოლიტიკური საქმიანობის ანიჰილაცია, გაქრობა. ეს ნიშნავს, რომ მათ უნდა უარყონ რევოლუციური გზა, პარლამენტში რომ შევიდნენ, ეს იქნება მათთვის არარა. მიხეილ სააკაშვილის, ანუ ცხრაწლიანი რეჟიმის არჩევნების გზით დაბრუნება საქართველოში წარმოუდგენელია. „ნაციონალებს" ამის გააზრება უჭირთ, ტაბუირებულია ეს თემა. ლაპარაკია ისეთ უმძიმეს ექსცესებზე, რაც დაკავშირებულია დავითგარეჯის ამბებთან, ადამიანის წამებასთან, ცოცხალი ადამიანების ციხეში გაუპატიურებასა და ტანჯვასთან, ციხეში ადამიანების დახოცვასთან. ეს თემები ტაბუირებულია. როცა ასეთი საქციელი გაქვს ჩადენილი და მხილებული ხარ ამაში, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ შენ ხელისუფლებაში არჩევნებით დაბრუნდე? ხალხს თუ ეს ყველაფერი დაავიწყდა, ეს ნიშნავს, რომ ის ხალხი აღარ არის. ხალხს თუ ასეთ რამეს გაუკეთებს ვინმე და ის დაავიწყდება მას არა მარტო ახლა, არამედ ოდესმე, ე.ი. ის ხალხი არ არსებობს. ის, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა აგვისტოს ომში, საქართველოს ისტორიაში არ მომხდარა არასდროს, რამხელა ისტორია გვაქვს, ათასი წლებია, მაგრამ ასეთი მძიმე შემთხვევა საქართველოს ისტორიიდან არ მახსენდება. ასეთი რამის ჩამდენი ადამიანი უტიფრად გეუბნება, ამირჩიეთ, თქვენი პრემიერი უნდა ვიყოო. შეიძლება მოატყუო საზოგადოების ნაწილი, მაგრამ ქართველ ხალხს ვერ მოატყუებ.

**არსებობს ერთი „გირჩი", მეორე „გირჩი", ... „გირჩის" მეტი არაფერი არ გამოდის ჩვენს ოპოზიციაში"**

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

## ვლადიმირ პუტინის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო რუსეთში ძალაუფლების გადაცემის პროცესი დაიწყო?!

უკრაინის საგარეო დაზვერვის ინფორმაციით, **ვლადიმირ პუტინს** ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და რუსეთში ძალაუფლების გადაცემის პროცესი დაიწყო. უკრაინის დაზვერვის სამსახურმა პროფესიულ დღესთან დაკავშირებით პირველი საინფორმაციო ბიულეტენი, სახელწოდებით „თეთრი წიგნი" მოამზადა.

დოკუმენტში არის ცალკე თავი, „რუსეთიდან წარმოშობილი საფრთხეები", სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთის პრეზიდენტის ჯანმრთელობის პრობლემები სულ უფრო აშკარა ხდება და მისთვის სახელმწიფოს მეთაურის საჯარო ფუნქციების ფიზიკური შესრულება მისთვის შესამჩნევ სირთულეს წარმოადგენს.

სადაზვერვო დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ხელისუფლების გადაცემის კონკრეტული ვარიანტის მიუხედავად, საშუალოვადიან პერსპექტივაში, ძირითადი სცენარი ითვალისწინებს რუსეთში „პუტინიზმის" სახელმწიფო მოდელის შენარჩუნებას პუტინთან ერთად ან მის გარეშე.



უკრაინის საგარეო დაზვერვის სამსახურის თანახმად, კრემლის სტრატეგიულ მიზნებს შორის არის უკრაინის ან მისი ნაწილის ინტეგრაცია ერთგვარ სუპერსახელმწიფოებრივ პროექტში მოსკოვის ეგიდით, კოდური სახელით „სსრკ 2.0" და ამისათვის რუსეთის ფედერაციამ არ უნდა დაუშვას უკრაინის ეკონომიკური განვითარების ტემპის, მისი მოსახლეობის ხარისხის და ცხოვრების დონის ზრდა.

**„რუსეთის ფედერაცია შეეცდება, გადაჭრას მისი სისტემური დემოგრაფიული პრობლემები უკრაინის ადამიანური რესურსების ხარჯზე, ამბობენ სადაზვერვო ანალიტიკოსები. „თეთრი წიგნი" ამტკიცებს, რომ აზოვ-შავი ზღვის რეგიონს მოსკოვი განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან პლაცდარმს ხმელთაშუა ზღვის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში ექსპანსიისთვის. ყირიმის მილიტარიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძალთა სამხედრო-პოლიტიკური ბალანსის ცვლილებისთვის შავი ზღვის რეგიონში, კერძოდ, ამ რეგიონში NATO-ს თავისუფლად მოქმედების შემზღუდველი სისტემების შექმნის გზით",** — ნათქვამია დოკუმენტში.

**ეს ეპიზოდური და ფრაგმენტული წერილი ერთი ღირსეული კაცის სულის მისაგებლად ჩამეთვალოს. „ვალმოხდილიც“ აკი ისეთზე ითქმის ხოლმე, ვინც ცხოვრებაში რაღაც ვალდებულება პიროვნულად გაითავისა, ნებაყოფლობით იტვირთა, საწუთისოფლო ღედელუდეზე ღირსეულად ატარა, გზადაგზა ყველა ვალი პირნათლად გაისტუმრა და ბოლოს, სააქაო-საიქაოს გზაგასაყარზე ვალმოხდილმა შეისვენა...**

**ამ ორმოცი დღის წინ, სწორედ ასეთი დამსახურებული ადამიანი გამოაკლდა ჩვენ საგვარეულოს, 86 წლის ასაკში მიიცვალა სერგო ხერგიანი და სახელოვან წინაპართა პლეადას თავადაც შეუერთდა. „ხოჩა მაარე“ (კარგი კაციო“) სვანებმა ასეთზე იციან თქმა და ბ-ნი სერგო მართლაც გამორჩეული კაცური თვისებებით იყო შემკული და ჩემთვისაც იგი „დიდ მხნე მუშაკად“ აღქმულ პიროვნებად დარჩება...**



# ხოჩა მაარე

აქ ერთი ცხოვრებისეული სიბრძნით გაჯერებული შეგონება მახსენდება:

დაიძახეს — სახლი დაინგრაო!

მუხამ იკითხა: — ჩემი ბიჭი ხომ არ ერიაო?!

— არა, სახლი ცაცხვისა იყოო.

— ჰოდა, იმიტომაც დანგრეულაო!..

სვანურ ფოლკლორში ხერგიანთა გვარი სიძლიერით სწორედ მუხის საყრდენსაა შედარებული: „ჯიჰრა მიჯვრა ხერგიანალ“ (ხერგიანები-მუხის საყრდენი ბიჯგებიო).

დღეს ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენ გვარს კიდევ ერთი საიმედო საყრდენი „მიჯვრა“ გამოსცლოდეს; ანდა, ხერგიანთა ათასსაუკუნოვანი მურყვამი (კოშკი) წაქცეულიყოს...

ეს ფუტკარივით მშრომელი კაცი, მთელი ცხოვრება სიკეთეს ჩუმად, უანგაროდ თესავდა და ამას თავის მოვალეობად მიიჩნევდა. ამგვარ სიკეთეს კი ერთადერთი ნათელი სახელი — მადლი ჰქვია, დღევანდელობაში უკვე ესოდენ იშვიათი რომ გამხდარა და მხოლოდ მაშინ გვახსენდება, როცა მადლის უხმაუროდ მთესველს მოვისაკლისებთ და მის ადგილას დასანან სიცარიელეს გულისტკივილით აღმოვაჩენთ ხოლმე...

სერგო ხერგიანის ხანგრძლივ და დაუცხრომელ საზოგადოებრივ საქმიანობაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მისი კაცურკაცობის დასტურად, გნებავთ ჩემს ოჯახთან მიმართებაში ორიოდე შემთხვევას გავიხსენებ:

ომიდან ჭრილობებით დაბრუნებულ მამაჩემს, შინაც უამრავი საზრუნავი დახვდა, რის გამოც ოჯახის შექმნა გვიან მოუწია. უკვე ხანშიშესულს, შემდგომში წვრილშვილიც მძიმე ტვირთად დააწვა და მე, როგორც ხუთ და-ძმაში ყველაზე უფროსი, ვცდილობდი, მამას რამენაირად შევშველებოდი. ბავშვობის იმ მძიმე წლებში, ჩემთვის არათუ რაიმე გასართობი თუ ბალღური სილაღე, სასკოლო არდადეგების დასვენებაც არ არსებობდა. მთელი ზაფხული სხვისი მოჯამაგირე ვიყავი და ბანგურიანის თუ ცაიდერის ტყესა და კლდე-ღრეებში, ორიოდე გროშის ფასად, თხების ჯოგს ვმწყემსავდი. ეს კი რა ჯოჯოხეთური შრომაა, ცოტა ვინმეს თუ ეცოდინება...

იმ ზაფხულსაც ასე იყო. ერთ საღამოს კარს სერგო მოგვადგა, მამაჩემს რაღაც ფუთა გადასცა და ეუბნება: — ეს წარჩინებული ბავშვი ამხელა ჯაფისთვის ცოდოა, არდადეგების პერიოდში მაინც ცოტა სული მოითქვას, ახალი სასკოლო ფორმა მოვუტანე, ფეხსაცმელებიც აქვეა. პოდმოსკოვიეს საკავშირო პიონერთა ბანაკში სვანეთიდან ბავშვებს პირველად იწვევენ და ბიჭი ამ ერთხელ დასასვენებლად გავუშვათ, მოჯამაგირეობის საზღაურს კი ჩვენი სამსახური გაიღებს. ბეჯითი სწავლით და ყოფაქცევით, მირო ამ ჯილდოს იმსახურებსო.

შეთავაზება ყველასთვის მოულოდნელი იყო. მადლიერი და გაოგნებული ჩემი მშობლები მხრებსლა იჩეჩავდნენ და სერგოს პირჯვრის წერით ლოცავდნენ... მახსოვს, ახალ ტანსაცმელში გამოჯგიმულს უმცროსი და-ძმები როგორ გაოცებულები და აღტაცებულები გარშემო უცხოსავით მივლიდნენ და მათვალიერებდნენ... ის ზაფხული ლამაზი სიზმარივით ჩამრჩა მეხსიერებაში. მართლაც სასწაულივით იყო: მანამდე ტვიბერისა და ბალდაჩის ქანჩახებს რომ არ გავცილებოდი, ერთბაშად ეგრევე მოსკოვში არ ამოვყავი თავი?

მოგვიანებით, სერგოს ეს ამბავი გავახსენე და ჩემდა გასაოცრად აღმოჩნდა, რომ თავისივე დათესილი ეს მადლიანი სიკეთე თურმე არც კი ახსოვდა...

წლების შემდეგ, ეს დიდებული ადამიანი, ჩემს ოჯახს ასევე უანგაროდ დაეხმარა აწგარდაცვლილი უფროსი ვაჟიშვილის, — გიგის გრაფიკული ნამუშევრების საგამოფენოდ მომზადებასა და საჯაროდ წარმოჩენაში, რასაც ჩემი მწირი ფინანსური შესაძლებლობებით პირადად ვერაფრით შევძლებდი. სერგოსთვის ესეც რომ შემეხსენებინა, ვინ იცის, კიდევაც სწყენოდა: — რა მოხდა, მერე? ნიჭიერ ბიჭს ცოტა ხელი წავაშველე, ეგ რა დასამახსოვრებელი იყო, აბა, რისთვის ვართ, ერთმანეთს თუ არ გამოვადექითო?!.. თუმცა აქვე იმასაც დავამატებ, რომ ამ უპატიოსნესი კაცის შემოსავლის წყაროც მხოლოდ ხელფასი იყო.

სტუდენტობისას, ახლად ოპერაციაგადატანილმა, თბილისიდან სვანეთში წასვლა ვერ შევძელი და ზაფხულის ხვატში უპატრონოდ ვეგდე დაცარიელებულ სტუდქალაქში. ერთ დღესაც, მოულოდნელად სერგომ მესტიის რაიკომის პირველ მდივანთან, ბ-ნ სოსო ჭკადუასთან ერთად შემომიღო საერთო საცხოვრებლის კარი. სერგო მეუბნება: სოსომ შემატყობინა, მირონს ოპერაცია გაუკეთებია, წამო, მოვინახულოთ, თუ შეძლებს, სპორტის სასახლეში დღეს ჩვენი ბიჭები ჭიდაობენ და დავპატიჟოთო...

დუხჭირი ცხოვრებისგან დაკომპლექსებულს, სწორედ თითო-ოროლა ამგვარი დიდსულოვანი, მადლიანი ადამიანების ყურადღება მაძლევდა სტიმულს, სულიერად მამხნევებდა და ძალას მმატებდა...

მშვიდობით, ხერგიანების ბრძენო ბერმუხავ! კეთილი ფეხი დაგეტოვებინოს შენი მშვენიერი ოჯახისათვის და საახლობლო წრისათვის. „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა...“

**მირონ ხერგიანი,**

**მწერალი. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ღირსების ორდენის კავალერი.**

# ისტორიის ოქროს ფონდი

**რამდენიმე წელია, გამომცემლობა „არტანუჯმა“ ცნობილი ისტორიკოსის ბუბა კუდავას ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით მეტად მამულიშვილურ საქმეს მოჰკიდა ხელი. ეს გახლავთ ისტორიული, ეთნოგრაფიული, მემუარული ლიტერატურის გამოცემა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საცავებშია მოთავსებული ხელნაწერთა თუ ადრინდელ გამოცემათა სახით და ჩვენი სამშობლოს ისტორიულ წარსულს ეხება. ცნობილი ისტორიკოსები, მოგზაურები, სახელმწიფო მოღვაწეები, ვისაც კი შეხება ჰქონია ჩვენს ქვეყანასთან, უცხოვრიათ ანტიკური, შუასაუკუნეების თუ შემდგომი პერიოდის საქართველოში და უტყუარი ცნობებით გაუმდიდრებიათ ჩვენი ისტორია, ახლა გამომცემლობის მიერ დასტამბული სერიალებით ხელმისაწვდომი ხდება ქართველი მკითხველისთვის. ბევრი ნაწარმოები პირველად ითარგმნა და გამოიცა სრული სახით.**

**ამ შესანიშნავ გამოცემათა შორის მკითხველი იხილავს სომეხი, არაბი, სპარსელი მემატიანეების, ევროპელი მოგზაურებისა თუ რუსი ჩინოვნიკების ნაშრომებს ჩვენი ქვეყნის შესახებ, ქართველ მემუარისტთა და ისტორიკოსთა ნაწარმოებებს, რომლებიც წლებია, არ გამოცემულა. „არტანუჯმა“ უკვე დასტამბა ბარონ დე ბაის, აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის, ჟიულ მურიეს, შარდენის, მხითარ გოშის, აბუბექრ ბინ აბდულაჰის, რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩავუშის და სხვათა ნაშრომები. გამოიცა თედო ჟორდანიას, ალექსანდრე აბდალაძის, ალექსანდრე სულხანიშვილის, ისიდორე რამიშვილის, ელენე ცაგარეიშვილის, ზაქარია გურულის ნაშრომები, ქართლ-კახეთის, სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა ოჯახების სახელდებითი საოჯახო სიები. საახალწლოდ გამომცემლობა „არტანუჯმა“ ეს უნიკალური სერიალი ორი ტომით შეავსო. ეს გახლავთ არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“ და სტეფან ბურნაშევის სამი ნაშრომი კავკასიის შესახებ.**




**არქანჯელო ლამბერტის** „წმინდა კოლხეთი“ ფასდაუდებელი მნიშვნელობის წყაროა XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. მასში მოთხრობილია საქართველოში თეატელთა კათოლიკური მისიის 1628-1649 წლების მთელი ისტორია. ნაშრომში უამრავი საგულისხმო ცნობა მოიპოვება ქართული სამეფო-სამთავროებისა და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის შესახებ.

რაც შეეხება ლამბერტის „წმინდა კოლხეთს“, იგი სრულად და ცალკე წიგნად პირველად წარდგება ქართველი სამეცნიერო საზოგადოების და დაინტერესებული მკითხველის წინაშე. წიგნი იტალიურიდან თარგმნა **გიორგი ცქიტიშვილმა,** გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო **დავით მერკვილაძემ,** მთავარი რედაქტორი გახლავთ **ბუბა კუდავა.** ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ამ წიგნის პირველი გამოცემა 1657 წელს ავტორის მიერ ნეაპოლში მისი გამოქვეყნების შემდეგ და ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ იგი სწორედ ქართულ ენაზე განხორციელდა.

* * *

**პოლკოვნიკი სტეფან ბურნაშევი იყო ეკატერინე მეორის საგანგებო რწმუნებული ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის კარზე და ამავე დროს 1783-1787 წლებში გეორგიევსკის ტრაქტატის შესაბამისად საქართველოში მყოფი რუსული ჯარის მეთაური.** მან საქართველოში მოღვაწეობისას შექმნა სამი ანალიტიკურ-აღწერილობითი ნაშრომი, რომელთა ქართული თარგმანები რუსულ დედნებთან ერთად პირველად დასტამბა გამომცემლობა „არტანუჯმა“. **„კავკასია. XVIII საუკუნის მეორე ნახევარი. პოლიტიკური და ეთნოგრაფიული აღწერა“** რუსულიდან თარგმნა და გამოკვლევები, განმარტებები და საძიებლები დაურთო **დავით მერკვილაძემ**.

პირველი ნაწილი **„საქართველოს სურათი“** მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა XVII საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიისა და რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიისათვის.

**„ადრებიჟანული ქვეყნების“ აღწერაში“** ავტორი ეხება სამხრეთ კავკასიისა და უფრო სამხრეთით მდებარე ისლამურ სახანოებში არსებულ ვითარებას. აქ განხილულია სახანოების საზღვრები და პოლიტიკური სტატუსი, ხანების პოლიტიკური ორიენტაცია და კავშირები, ქრისტიანთა კომლობრივი რაოდენობა და ა. შ.

**„მთიელ ხალხთა აღწერა“** კი ეთნოგრაფიული ნაშრომია. აქ მრავალი საგულისხმო ცნობა მოიპოვება ყაბარდოელთა ყოფის, მდგომარეობისა და ადათ-წესების, ეროვნული ხასიათის შესახებ. ამ მხრივ იგი კავკასიელ ხალხთა ეთნოგრაფიის მკვლევართათვის საყურადღებო წყაროა.

დაინტერესებულ მკითხველს უნდა მოვახსენოთ, რომ სტეფან ბურნაშევის „კავკასია“ და არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“ „არტანუჯის“ მიერ გამოცემული სერიის წიგნებიდან რიგით მეცხრამეტე და მეოცეა. იმედია, ეს შესანიშნავი სერია კვლავ გამდიდრდება უამრავი ავტორის ნაწარმოებით.

**მამუკა ვაშაკიძე**





# აფხაზეთი: ელექტრო-ენერგია – წინაპრების მიწის ფასად?

**შპ3ე რამდენიმე თვეა, აფხაზეთში ალქაჯებზე ნადირობენ. მაგრამ უწინდელივით — ალქაჯობაში ეჭვმიტანილთა ფიზიკური განადგურების ნაცვლად, რესპუბლიკაში მაინერების ძებნით დაკავდნენ. ხელისუფლება სპეცდანადგარების გამოყენებით კრიპტოვალუტის მწარმოებლებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის ძირის გამოთხრასა და უკანონო გამდიდრებაში ადანაშაულებს. აქაოდა, სწორედ ამ „კრიპტოჯადოქრების“ გამო გაჩნდა აფხაზეთის ელექტროენერგეტიკაში ყველა ის პრობლემა, რომელმაც ქვეყანა ლამის ქვის საუკუნეში დააბრუნაო.**

არადა, ენერგომომარაგების მხრივ პრობლემები აფხაზეთს თავად კრიპტოვალუტის ცნების გაჩენამდე ბევრად ადრე დაეწყო და წლების განმავლობაში გროვდებოდა. რესპუბლიკა ორი ათწლეულის განმავლობაში უმოწყალოდ უწევდა ექსპლუატაციას ელექტროენერგიის ერთადერთ წყაროს – კავკასიაში უმსხვილეს ჰიდროელექტროსადგურ ენგურჰესს, ისე, რომ კაპიკს არ დებდა მის არც რემონტში, არც რეკონსტრუქციაში, არც მოდერნიზებაში, მხოლოდ იღებდა ელექტროენერგიას, თანაც ხშირად აჭარბებდა საქართველოსთან შეთანხმებით განსაზღვრულ 40%-ს (რეალურად, ბოლო წლებში აფხაზეთის მოხმარება პრაქტიკულად მუდმივად აჭარბებდა ამ 40%-ს, ზამთრობით კი 100%-საც აღწევდა).

ელექტროენერგიის სხვა წყაროები, რომელთა რაოდენობა რესპუბლიკაში სამ ათეულს აღწევდა, ან ომის დროს განადგურდა, ან მისი დასრულების შემდეგ გაიძარცვა. ამრიგად, მოსახლეობა ელექტროენერგიის ერთადერთი წყაროს იმედად იყო დარჩენილი.

ელექტროენერგიის ღირებულება აფხაზეთში მხოლოდ რამდენჯერმე გაიზარდა. ამ დროისთვის იგი მოსახლეობისთვის 40 კაპიკს შეადგენს (დოლარში – დაახლოებით ნახევარ ცენტს). ასე, რომ, აფხაზეთს შეეძლო, ელექტროენერგიის უმცირესი ტარიფების მქონე ქვეყნების ჯგუფში ყოფილიყო. თუმცა მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ არაღიარებულობის მიზეზით იგი ოფიციალურ სტატისტიკაში ვერ ხვდება.

**ამ დროისთვის ყველაზე იაფი (კვტ/სთ – სულ 0,1 ცენტი) ელექტროენერგია ინდოეთს აქვს. ამასთან, ქვეყანა სადღეისოდ მესამე ადგილზეა ელექტროენერგიის წარმოების თვალსაზრისით. მაგრამ ვინც ინდოეთშია ნამყოფი, იცის, რომ სისტემატური „მარაოსებრი“ გათიშვების გამო მთელი ქვეყანა დიზელის გენერატორებს მოიხმარს. ასეთია მსოფლიოში ყველაზე დაბალი ტარიფის „მედლის“ მეორე მხარე. შემდეგ მოდიან ქუვეითი, ბაჰრეინი, საუდის არაბეთი, ბუტანი, ირანი, რუსეთი (2,4 ცენტი), ნიგერია, უკრაინა (2,6 ცენტი) და ბანგლადეში.**

**მაგრამ აფხაზეთი, ჩამოთვლილი ქვეყნებისგან განსხვავებით, ელექტროენერგიას არ აწარმოებს. უფრო სწორად, ნაწილობრივ აწარმოებს. და რატომღაც უკვე 27 წელია, არა მარტო არ დებს თანხებს ელექტროენერგიის მაგენერირებელ ერთადერთ ქვესადგურში, არამედ მისი მოხმარების საფასურსაც კი არ იხდის.**

სახელმწიფოს მთელი ენერგოსისტემა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა დროს აშენდა, შესაბამისი რემონტის გარეშე მოძველდა და გამოუსადეგარი გახდა. მაგრამ ხელისუფლება ამ სავალალო მდგომარეობის კონსტატაციის ნაცვლად, ცდილობს, ეძებოს დამნაშავეები მაინერებისა და ვილაც არაკეთილმოსურნეების სახით. ისინი კი არ არსებობენ. უფრო სწორად, არსებობენ, მაგრამ არა სადღაც იქ – მაგალითად, ენგურს გაღმა, არამედ აქ – ქვეყნის შიგნით. და ეს სხვა არავინაა, თუ არა თავად ჩვენ – აფხაზეთის მოქალაქეები, რომლებიც წლობით ვხუჭავთ თვალს ენერგეტიკის დარგში არსებულ ქაოსსა და განუკითხაობაზე.

სამიოდე წლის წინ, 2018-ში აფხაზეთის მთავრობამ ელექტროენერგიის ტარიფს გადახედა. მოსახლეობისთვის იგი უცვლელი დარჩა – 40 კაპიკის ფარგლებში. აი, სახელმწიფო ორგანოები და საბიუჯეტო დაწესებულებები კი (განათლებისა და ჯანდაცვის ობიექტების გამოკლებით), რომლებიც რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, ასევე მათთან გათანაბრებული მომხმარებლები, მათ შორის რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ობიექტები, იმ დროიდან მეტს იხდიან – კვტ/სთ-ში 60-ის ნაცვლად 95 კაპიკს. თუმცა ეს დიდი ვერაფერი ზრდაა, განსაკუთრებით – იმის გათვალისწინებით, რომ უკვე მრავალი წელია, აფხაზეთი ელექტროენერგიას მეგობრის, მეზობლისა და პარტნიორის – რუსეთისგან 2,70 რუბლის ოდენობის ტარიფით ყიდულობს. გამოდის, რომ რესპუბლიკა ესოდენ მაღალ ფასად შეძენილ ელექტროენერგიას რუს სამხედროებს 3-ჯერ ნაკლებ ფასად აწვდის, – გასაოცარი ქველმოქმედებაა! მსგავს აზრამდე აფხაზეთი თუ მივიდოდა. უკვე მრავალი წლის განმავლობაში სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისში მყოფი რესპუბლიკა თავს უცნაური, ძნელად ახსნადი ქმედებების უფლებას აძლევს, რომელიც დაუშვებელია დამოუკიდებელი, განვითარების იმედის მქონე ქვეყნისთვის! **ეს მონის ქცევას უფრო ჰგავს, რომელიც ცდილობს, ბატონის კეთილგანწყობა დაიმსახუროს. გაუგებარია, ვინ დააჩოქა აფხაზეთი ასე რუსეთის წინაშე. იქნებ თავად ჩვენ?**

**„რომელიმე სხვა ქვეყანაში გსმენიათ, უცხოელი სამხედროებისთვის მსგავსი შეღავათები დაეწესებინოთ? რუსეთმა პირობითად რუბლად აფხაზეთში უამრავი მიწა იყიდა. მეტიც, მას აშენებული აქვს პრაქტიკულად მიუდგომელი დახურული რაიონები. აი, ელექტროენერგიასა და წყალში კი კაპიკებს იხდის! თანაც მათ სრული ხელშეუხებლობა აქვთ. რომც მოვთხოვოთ საფასური, ვერაფერს გავხდებით. მეტი დამცირება ჩვენთვის – აფხაზეთის მოქალაქეებისთვის ვერც კი წარმომიდგენია. სადაა ჩვენი თავმოყვარეობა? თუ რუსეთი ჩვენი მეგობარი და პარტნიორია, მაშინ იხადოს იმაში, რომ ჩვენს ტერიტორიაზე თავისი სამხედრო ბაზები განათავსა და იცავს უპირველესად, არა ჩვენს, არამედ საკუთარ საზღვრებს!“,** – თვლის ჩვენი თანამოსაუბრე მაქსიმი.

მეორე ჩვენი რესპონდენტის – არკადის აზრით, რუსეთის მსგავსი დამოკიდებულება საუკეთესოდ წარმოაჩენს აფხაზეთის პარტნიორის ჭეშმარიტ სახეს. „რუსეთს ჩვენთან უამრავი შეთანხმება აქვს გაფორმებული. ის წლიდან წლამდე გვაშინებს ზღაპრებით, თითქოს მსოფლიო მასშტაბის კატასტროფა გვემუქრებოდეს. რეალურად კი, აფხაზეთისთვის ყველაზე დიდი პრობლემა და კატასტროფა თვითონ რუსეთია. მსოფლიოს კიდევ რომელ ქვეყანაში იხდიან რუსები კაპიკებს თავისი სამხედრო ბაზების განთავსებაში? აფხაზეთის გარდა, რომელ ქვეყანაში ანიჭებენ რუს სამხედროებს შეღავათებსა და იმუნიტეტს? მსგავსი რამ სხვაგან არსად ხდება. და ეს აფხაზეთის, მისი მოსახლეობის, მისი კონსტიტუციის, მისი კანონების მიმართ რუსეთის რეალური დამოკიდებულების მაჩვენებელია!“...

გასულმა 2020-მა წელმა გვიჩვენა, რამდენად რთულია აფხაზეთში ენერგოუსაფრთხოების კუთხით ვითარება. 16-საათიანმა უშუქობამ და სიცივემ უპირველესად, ის წარმოაჩინა, რამდენად მასშტაბურია აფხაზეთის დამოკიდებულება რუსეთზე და ამ უკანასკნელის გავლენა ჩვენს რესპუბლიკაზე. დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს ერთადერთმა პარტნიორმა, რომელმაც მშვენივრად უწყის ყოვლისმშთანთქმელი კრიზისის თაობაზე, არ მოისურვა, არათუ ელექტროენერგიის ტარიფი შეემცირებინა, არამედ ელექტროენერგიით საკუთარი სამხედროები მაინც უზრუნველეყო ენგურჰესზე დატვირთვის შესამცირებლად.

**„და რას ელოდით? მართლაც გჯერათ, რომ რუსეთს ჩვენი მოსახლეობის მდგომარეობა აღელვებს? მისთვის მთავარი აფხაზეთში წარმოდგენილობაა ნებისმიერ ფასად. ჩვენ უკრაინა არ ვართ ან ბელარუსი, რომელთათვისაც რუსეთი საკუთარი იმიჯის გასაუმჯობესებლად მზადაა, რესურსები ლამის უსასყიდლოდ გაიმეტოს. ჩვენ აფხაზეთი ვართ, რომელიც დიდმა მეზობელმა უკვე მიისაკუთრა, შთანთქა, ახლა კი გამოუვალ მდგომარეობამდე მიიყვანა. ტიპური ქცევაა რუსეთისთვის, რომელიც ყველაფერს სპობს, რასაც ეხება“,** – დარწმუნებულია ჩვენი თანამოსაუბრე გივი.

20 იანვარს ელექტროენერგიის ერთადერთი წყარო – ენგურჰესი სარემონტოდ გაჩერდა. აფხაზეთს ელექტროენერგიის რუსეთისგან შესყიდვა მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ხელისუფლების ოფიციალური განცხადებები.

საკუთარი ფული რესპუბლიკას დიდი ხანია, აღარ აქვს. იგი გადარჩენას მხოლოდ რუსეთის ფინანსური დოტაციების ხარჯზე ცდილობს. ისინი კი შეიძლება, ნებისმიერ მომენტში შეწყდეს, რადგან თავად რუსეთში ძალზე არასტაბილური ეკონომიკური და ფინანსური ვითარებაა. როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევაში ჩვენს სახელმწიფოს მოუწევს, ელექტროენერგია ვალად, გარკვეული გარანტიებით შეისყიდოს. როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ეს გარანტიები? – ეს იქნება აფხაზური მიწა მასზე არებული ობიექტებით, – ერთგვარი ბე განათებულ ბინებში ცხოვრებისთვის, – საფასურის გადახდის სხვა ვარიანტები ხომ ჩვენს რესპუბლიკას არ გააჩნია.

**ვალს გადახდა უნდა. ჰოდა, ჩვენ – აფხაზეთის მოქალაქეებს მოგვიწევს, საკუთარი უნიათობისა და უგუნურების ფასი წინაპრების მიწით გადავიხადოთ. ეს ნიშნავს, რომ უახლოეს ხანებში – შესაძლოა, 2021-შიც კი, სუვერენული, დამოუკიდებელი აფხაზეთის ტერიტორია სრულად იქცეს რუსეთის საკუთრებად.**

**კრისტინა ავიძბა**

**P.S. 20 იანვრიდან ენგურჰესზე კაპიტალური რემონტი დაიწყო. ეს უზარმაზარი კომპლექსი მინიმუმ სამი თვე დენს აღარ გამოიმუშავებს. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე აფხაზეთი ელექტროენერგიას რუსეთიდან იღებს. ეს ძალიან ცუდია, რადგან ძველი დავალიანების ჩათვლით, ღატაკ აფხაზეთს დამატებით ასობით მილიონი რუბლი ექნება გადასახდელი...**

# SOS! აფხაზეთში კრიპტოვალუტების მაინინგი დასჯადი გახდება!

**ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ პარლამენტს კრიპტოვალუტის უკანონო მომპოვებლების წინააღმდეგ სანქციების გამკაცრების და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღების თაობაზე კანონპროექტი წარუდგინა.**

აფხაზი ენერგეტიკოსები იმედოვნებენ, რომ ეს ზომა ნაწილობრივ მაინც შეამცირებს ვირტუალური ვალუტის მოპოვებას, რომელიც რესპუბლიკის ენერგოსისტემას ანგრევს და მოსახლეობას პრობლემებს უქმნის.

ელექტროენერგიის ჭარბი მოხმარებით გამოწვეული მწვავე ენერგოკრიზისი ოკუპირებულ აფხაზეთში კვლავ გრძელდება და ამის მიზეზად უკვე საყოველთაოდ და ოფიციალურად აღიარებულ იქნა კრიპტოვალუტების მაინინგი.

იმის გამო, რომ მოხმარებული ენერგიის საფასურს კონტროლის სისტემის არარსებობის გამო არავინ იხდის, მაინინგი ოკუპირებულ აფხაზეთში ძალიან პოპულარული ბიზნესი გახდა. ეს კი ენერგომოხმარებას ავტომატურად ზრდის, თუ წინა წლებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 5%-ით იზრდებოდა, 2020-ში ზრდამ 30% შეადგინა. კრიპტოფერმების საქმიანობის გამო აფხაზეთის ენერგოსისტემა უკიდურესად გადატვირთულია და მოძველებული ინფრასტრუქტურა მწყობრიდან თითქმის ყოველდღიურად გამოდის. მთელს აფხაზეთში ყოველდღიურად, სხვადასხვა ადგილებში, ყოველგვარი განრიგის გარეშე, ელექტროენერგია დღეში რამდენიმე საათით ითიშება. ვითარების გამოსასწორებლად, ხელისუფლებამ მაინინგი უკანონოდ გამოაცხადა და კრიპტოფერმების გათიშვა დაიწყო. ამ მიმართულების დეკლარირებული წარმატებების მიუხედავად, არალეგალური მაინინგი გრძელდება, შუქი ყოველდღიურად ითიშება, ძაბვა ქსელში არა 220, არამედ 130-150 ვოლტია. ამის გამო ბოლო პერიოდში ოკუპირებულ აფხაზეთში დიდი რაოდენობით საყოფაცხოვრებო ტექნიკა ფუჭდება და რიგითი მოქალაქეების ამ დანაკარგების გამო პასუხს არავინ აგებს.



სახელმწიფო ენერგოკომპანია „ჩერნომორენერგო“ ფერმების წინააღმდეგ შემოწმებებს ატარებს, მაგრამ უშედეგოდ, გათიშვის შემდეგ მაინერები ენერგოქსელს ისევ უერთდებიან და მუშაობას განაგრძობენ. „ჩერნომორენერგოს“ დირექტორის მიხაილ ლოგუას თქმით, ამ დროისთვის ოკუპირებული აფხაზეთი დღე-ღამეში 10, 5 მლნ. კვტ.ს. ენერგიას მოიხმარს, ხოლო რუსეთიდან 3 თვის მანძილზე 800 მლნ. კვტ.ს.-ს იღებს. მოხმარების დღევანდელი დონის შენარჩუნების შემთხვევაში, ეს საკმარისი არ იქნება და აფხაზეთში მწვავე ენერგოდეფიციტი წარმოიქმნება. აფხაზი სპეციალისტების გათვლებით ენერგოსისტემას 3 თვის მანძილზე 150 მლნ. კვტ. საათი დააკლდება.

**თენგიზ აბლოთია**



# 2020 წელს დედამიწა ბოლო 50 წლის განმავლობაში ყველაზე სწრაფად ბრუნავდა!

**2020 წელს დროც კი ვერ გადაურჩა უვნებლად!..**

აღრიცხულთა შორის (1960 წლიდან) ყველაზე მოკლე 28 დღიდან, ყველა 2020 წელს აღირიცხა, რადგან დედამიწა ერთ ბრუნს თავის ღერძის გარშემო საშუალოზე მილიწამებით სწრაფად ასრულებდა.

ეს ფაქტი განსაკუთრებით საგანგაშო არ არის, რადგან პლანეტის ბრუნვა მუდმივად ოდნავ მერყეობს, რაც დამოკიდებულია ატმოსფერული წნევის, ქარების, ოკეანის დინებებისა და დედამიწის ბირთვის მოძრაობის ცვალებადობაზე.

თუმცა, ეს დიდ უხერხულობას უქმნის საერთაშორისო ქრონომეტრისტებს, რომლებიც მსოფლიო კოორდინირებული დროის (UTC) გაზომვისთვის ულტრაზუსტ ატომურ საათებს იყენებენ; სწორედ ამ დროზე ასწორებს საათებს მთელი მსოფლიო. როდესაც ასტრონომიული დრო, რომელსაც განსაზღვრავს დედამიწის ერთი სრული ბრუნი – UTC-დან 0,4 წამზე მეტით გადაიხრება, ხდება UTC-ის კორექტირება.

ამ დრომდე, ეს კორექტირება ხდებოდა წელიწადზე „წამიანი ნახტომის“ დამატებით ივნისის ან დეკემბრის ბოლოს, რასაც ერთმანეთთან შესაბამისობაში მოჰყავდა ასტრონომიული და ატომური დროები.

წამიანი ნახტომის გამოყენება იმიტომ დაიწყეს, რომ დედამიწის ბრუნვის ზოგადი ტენდენცია შენელდა, რაც 1960-1970-იანი წლებიდან ზუსტი თანამგზავრული გაზომვები დაიწყეს.

აშშ-ის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტის (NIST) ცნობით, 1972 წლიდან, წამიან ნახტომს მეცნიერები საშუალოდ ყოველი წელიწად-ნახევრის ბოლოს ამატებდნენ. ბოლო ასეთი დამატება 2016 წელს მოხდა, როდესაც ახალი წლის ღამეს, 23 საათზე, 59 წუთსა და 59 წამზე დამატებითი „წამიანი ნახტომი“ დაამატეს.

თუმცა, გამოცემა Time and Date-ის ცნობით, დედამიწის ბრუნვის ბოლოდროინდელმა აჩქარებამ მეცნიერები პირველად აალაპარაკა უარყოფითი წამიანი ნახტომის საჭიროებაზე. წამის დამატების ნაცვლად, შეიძლება საჭირო გახდეს მისი გამოკლება.

იმიტომ, რომ დღის საშუალო ხანგრძლივობა 86 400 წამია, მაგრამ 2021 წლის ასტრონომიული დღე საშუალოდ 0,05 მილიწამით მოკლე იქნება. წლის განმავლობაში, ატომურ დროს ეს 19 მილიწამს დაამატებს.

2020 წელი ასტრონომიული თვალსაზრისით უჩვეულოზე სწრაფი იყო, Time and Date-ის ცნობით, 28 დღით, დედამიწამ უკვე მოხსნა უმოკლესი ასტრონომიული დღის რეკორდი, რომელიც 2005 წელს იყო დადასტურებული.

2005 წლის ყველაზე ხანმოკლე დღე 5 ივლისი იყო, რადგან დედამიწამ ერთი ბრუნი 1,0516 მილიწამით უფრო სწრაფად (86 400-ზე) განახორციელა. 2020 წლის უმოკლესი დღე კი 19 ივლისი იყო, როდესაც ერთი ბრუნი პლანეტამ 1,4602 მილიწამით უფრო სწრაფად შეასრულა.

NIST-ის განცხადებით, წამიან ნახტომს საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. გამოსადეგია იმ თვალსაზრისით, რომ უზრუნველყოფს ასტრონომიულ დაკვირვებათა სინქრონიზებას საათის დროსთან, მაგრამ შეიძლება დაბრკოლება გახდეს მონაცემთა შეყვანის აპლიკაციებისა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისთვის.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის ზოგიერთი მეცნიერი იმასაც ფიქრობს, რომ საჭიროა, ასტრონომიულ და ატომურ დროს შორის სხვაობა იქამდე გაიზარდოს, ვიდრე საჭირო გახდება „საათიანი ნახტომი“, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ტელეკომუნიკაციებისადმი მიყენებულ ზიანს.

**მომზადებულია** LIVE SCIENCE-**ის მიხედვით.**

# გიგანტური დინოზავრი არგენტინიდან...

**სამხრეთ-დასავლეთ არგენტინაში მეცნიერებმა მიწიდან ამოთხარეს 98 მილიონი წლის წინანდელი ნამარხი, რომელიც მათი აზრით, ამ დრომდე აღმოჩენილთა შორის უდიდეს დინოზავრს ეკუთვნოდა.**



გიგანტური ზავროპოდის განმარხებული ძვლების თითო ნაწილი ადამიანის ზომისაა და როგორც ჩანს, ეს არსება 10-20 პროცენტით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე Patagotitan mayorum-ი, რომელიც ამ დრომდე აღმოჩენილი უდიდესი დინოზავრია. გათხრებს ლა-მატანსას ეროვნული უნივერსიტეტის მკვლევრები აწარმოებენ.

ზავროპოდები უზარმაზარი, გრძელკისერა, გრძელკუდიანი, ბალახისმჭამელი დინოზავრები იყვნენ და წარმოადგენენ ხმელეთის უდიდეს ქმნილებებს, რომლებსაც კი ოდესმე უცხოვრიათ დედამიწაზე.

მათ შორის იყო ასევე არგენტინაში აღმოჩენილი Patagotitan mayorum-ი, რომელიც 70 ტონას იწონიდა და სიგრძეში 40 მეტრი იყო.

არგენტინის ლა-პლატის მუზეუმის მკვლევარი ალეხანდრო ოტერო აღმოჩენილი ძვლების საფუძველზე დინოზავრის გამოსახულების შექმნაზე მუშაობს.



ამ დროისათვის, ქანებში ჩამარხული დინოზავრის სხეულის სხვა ნაწილების ძებნა გრძელდება. არქეოლოგებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ბარძაყის ან მხრების ძვლები, რომლებიც ამ დიდი ხნის წინ გადაშენებული ქმნილების სხეულის მასის შეფასებისთვის არის საჭირო.

გიგანტური ნამარხი 2012 წელს, მდინარე ნეუკენის ხეობაში აღმოაჩინეს, მაგრამ გათხრები 2015 წელს დაიწყო.

**„გვაქვს კუდის ნახევარზე მეტი, მენჯის ძვლები. ნამარხის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მიწაშია და სრულად ამოსაღებად კიდევ რამდენიმე წელი გვჭირდება“,** – ამბობს ეხიდიო ფერუგლიოს პალეონტოლოგიის მუზეუმის პალეონტოლოგი ხოსე ლუის კარბალიდო.

უზარმაზარი ჩონჩხი 98 მილიონი წლის წინანდელ, ზედა ცარცული პერიოდის ხანის ქანების შრეში აღმოაჩინეს.

კვლევა ჟურნალ Cretaceous Research-ში გამოქვეყნდა.

**მომზადებულია** AGENCE FRANCE-PRESSE-**ის მიხედვით.**

# სასურველია, ხუთი წლით გაგრძელდეს შეიარაღების შემცირების შეთანხმება



თეთრი სახლი ჯო ბაიდენსა და ვლადიმერ პუტინს შორის გამართულ სატელეფონო საუბარს ეხმაურება.

**„პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბარი გამართა. მხარეებმა განიხილეს ორივე ქვეყნის მზადყოფნა, ხუთი წლით გაახანგრძლივონ სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმება“,** – ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

თეთრ სახლში აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტმა ბაიდენმა უკრაინის სუვერენიტეტის მიმართ შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერა დაადასტურა. ჯო ბაიდენმა ასევე ისაუბრა SolarWinds-ზე განხორციელებულ კიბერშეტევაზე, გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ რუსეთი ავღანეთში გარკვეულ ჯგუფებს გასამრჯელოს სთავაზობდა ამერიკელი სამხედროების ლიკვიდაციისთვის, აშშ-ის 2020 წლის არჩევნებში ჩარევასა და ალექსეი ნავალნის მოწამვლაზე.

**„პრეზიდენტმა ბაიდენმა მკაფიოდ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მტკიცედ იმოქმედებს ეროვნული ინტერესების დასაცავად რუსეთის ქმედებების საპასუხოდ, რომელიც ზიანს ჩვენ ან ჩვენს მოკავშირეებს აყენებს“,** – აღნიშნეს თეთრ სახლში.

**ჟურნალისტების კითხვაზე, თუ რაზე ისაუბრა ვლადიმერ პუტინთან, ბაიდენმა Fox News-ის ჟურნალისტს უპასუხა: „მან თქვენთან მოკითხვა გადმომცა“.**

# იმპიჩმენტი არ შედგება



**„რესპუბლიკელი“ სენატორების უმრავლესობა ტრამპის იმპიჩმენტის წინააღმდეგ გამოდის**. როგორც ამერიკული მედია წერს, 26 იანვარს სენატში გამართულ სხდომაზე კენჭი უყარეს კენტუკის სენატორის რენდ პოლის ინიციატივას, რომელიც ტრამპის იმპიჩმენტის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინიციატივა საბოლოოდ არ დაამტკიცეს, კენჭისყრის შედეგად ტრამპის იმპიჩმენტის არაკონსტიტუციურად გამოცხადებას მხარი 50 „რესპუბლიკელი“ სენატორიდან 45-მა დაუჭირა და მხოლოდ ხუთი „რესპუბლიკელი“ დაეთანხმა ტრამპის წინააღმდეგ ბრალის წაყენებას.

# ერთხმად გმობენ ნავალნის დაკავებას




„დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრები ალექსეი ნავალნის დაპატიმრებასთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ.

**„ჩვენ, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრები და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ერთობლივად ვგმობთ ალექსეი ნავალნის პოლიტიკურად მოტივირებულ დაპატიმრებასა და დაკავებას. ჩვენ ღრმად შეშფოთებულნი ვართ ათასობით მშვიდობიანი მომიტინგესა და ჟურნალისტის დაკავებით და მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებები და გაათავისუფლოს თვითნებურად დაკავებული პირები. დაუშვებელია პოლიციური ძალების მიერ შეხედულების გამოხატვის უფლების ძალადობრივი გზით ჩახშობა“,** – ნათქვამია განცხადებაში.

„დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრები რუსეთის ხელისუფლებას ასევე მოუწოდებენ, ალექსეი ნავალნი დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაათავისუფლოს.

# ყოფილი პრემიერ-მინისტრი დააკავეს

**ყირგიზეთის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტმა ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მუჰამედკალ აბილგაზიევი დააკავა.**



მთავრობის ყოფილი მეთაური გამოკითხვაზე 26 იანვარს დაიბარეს, შემდეგ კი დააკავეს. ამ ეტაპზე დაკავების მიზეზი უცნობია. მანამდე ფინანსურმა პოლიციამ აბილგაზიევს რადიოსიხშირეების გაყიდვის საქმეზე აგორებული სკანდალის გამო ქვეყნის დატოვება აუკრძალა.

2020 წლის მაისში ყირგიზმა დეპუტატმა ჟანარ აკაევმა განაცხადა, რომ მთავრობამ ორი რადიოსიხშირე უკანონოდ, დემპინგურად დაბალ ფასად გაყიდა და ამაში პრემიერ-მინისტრიც მონაწილეობდა. დეპუტატმა ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი 5 მილიარდ სომად (59 მილიონი დოლარი) შეაფასა. ამის შემდეგ აბილგაზიევი შვებულებაში გავიდა, 15 ივნისს კი თანამდებობა დატოვა.

მოგვიანებით ყირგიზეთის გენერალურმა პროკურატურამ საქმეზე გამოძიება დაიწყო. კორუფციის საქმეზე 5 ადამიანი, მათ შორის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის თანამშრომლები დააკავა.

## საინტერესო ამბები მიხეილ ჭაბუკაშვილისგან

კაპიტანი

# ყაზახეთიდან – საფრანგეთში!

მანუჩარ მაჩაიძის შემდეგ ასეთი კაპიტანი აღარ გვყოლიაო! — მითხრა ქართული ფეხბურთის ძველმა ქომაგმა **ჯაბა კანკავას** შეფასებისას. სხვებს რას უწუნებ-თქო, რომ ვკითხე, გულახდილი პასუხი გამცა: არავის არ ვაკნინებ, ყველას თავისი ღირსებები ამკობდა, მაგრამ იგი თითოეული მათგანის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენსო, თანაც დაუმატა — ჯიგრიანი თამაშით თემურ ქეცბაიასაც მაგონებსო. მოდით, უფრო ახლოს გავეცნოთ „ვალანსიენის“ დებიუტანტს.

**„ყაზახეთიდან საფრანგეთში გადასვლა წარმოუდგენელი ტრანსფერია“,** — ასე გამოეხმაურა რუსული გამოცემა Sports.ru ჯაბა კანკავას დაბრუნებას მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში...

**„საქართველოს ნაკრების კაპიტანს ჯაბა კანკავას კუსტანაის „ტობოლთან“ 2-წლიანი კონტრაქტი დაუსრულდა, მაგრამ არავინ იცოდა, თუ სად გაგრძელდებოდა ქართველი ნახევარმცველის კარიერა, თანაც, 34 წლის ასაკში. ის საფრანგეთის ლიგა 2-ის „ვალანსიენის“ ფეხბურთელი გახდა. ყაზახეთიდან საფრანგეთში გადასვლა, თუნდაც თავისუფალი აგენტის სტატუსით, ყაზახური საფეხბურთო ბაზრისთვის უჩვეულო მოვლენაა. მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ ფეხბურთელი უკვე 34 წლისაა. საინტერესო ფაქტია — 2018 წელს ჯაბა „ტობოლში“, ნიკა კვეკვესკირის რეკომენდაციით, სწორედ საფრანგეთიდან ჩავიდა, სადაც „რეიმსში“ თამაშობდა. სამი წლის შემდეგ კი კანკავა საფრანგეთში დაბრუნდა“,** — წერს გამოცემა.



Sports.ru საქართველოს ნაკრების კაპიტანზე სხვა დეტალებსაც წერს, რაშიც ჩვენ არასოდეს შეგვპარვია ეჭვი: **„იმ ხალხის თქმით, ვინც მის გვერდით ყაზახეთში თამაშობდა, ჯაბამ თავი გამოიჩინა, როგორც ნამდვილმა პროფესიონალმა, რომელიც საკუთარ თავზე ბევრს მუშაობდა და პროფესიონალური დამოკიდებულება აქვს კვებისა და რეჟიმის მიმართ. ჯაბა მოედანზე მუდმივად თავდადებით ასრულებდა წარმოუდგენლად დიდ სამუშაოს. კანკავა ყაზახ მაყურებელს ახსოვს, როგორც ძალიან შეუპოვარი მოთამაშე“.**

**„18 წლის ჯაბამ მშობლიურ თბილისის „დინამოში“ სერიოზული განაცხადი გააკეთა — იმ წელს გუნდი უეფას თასის ჯგუფში მოხვდა. კანკავამ გაიტანა გამარჯვების გოლი პრაღის „სლავიასთან“, რამაც „დინამო“ შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.“** ეს ფაქტი არ გამორჩენია საქართველოს ნაკრების მაშინდელ მთავარ მწვრთნელს, ალენ ჟირესს და... 2005 წლის სექტემბერში, ალბანეთის წინააღმდეგ (2:0), საქართველოს ნაკრებში ჯაბას დებიუტი შედგა...

მას არასდროს დაუმალავს, რომ მეზობელ ქვეყანაში ფინანსური პრობლემების გამო მიდიოდა: **„როცა რუსეთში წავედი, ჩემთვის ფინანსური მხარე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დიდი პრობლემები გვქონდა და ოჯახის დახმარება მსურდა. სხვა არაფერზე მიფიქრია. ჩემთვის მთავარი იყო ფული. მოთამაშეები, რომლებიც ამბობენ, რომ ფული მთავარი არ არის, ვფიქრობ, იტყუებიან. როცა „ალანიაში“ გადავედი, რუსულად ერთი სიტყვაც არ ვიცოდი. ასე ვთქვათ, ყველაზე საჭირო სიტყვები ერთ წელიწადში გავიგე“.**

**„უკრაინაში ჩასვლისთანავე კანკავა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა — ხელი ტრავმამ შეუშალა: „როცა ბესონოვმა მიმიწვია, ყველანაირად მხარი დამიჭირა. საბოლოოდ, ტრავმამ ორი წლის განმავლობაში არ მომცა თამაშის საშუალება“.**

ქართველ ნახევარმცველს ძალიან დიდხანს მკურნალობდნენ: ყველაფერი ფეხის თითის მოტეხილობის ბრალი იყო. კანკავას ოთხი ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ თავს ძალიან ხშირად ახსენებდა. ალბათ, ეს ადგილობრივი ექიმების ბრალია, რადგან პირველი ოპერაცია ჯაბამ, მეგობრის რეკომენდაციით, საქართველოში გაიკეთა. ქართველი ნახევარმცველი, საბოლოოდ, მხოლოდ გერმანიაში განიკურნა. ერთი წელი კიევის „არსენალში“ გაატარა და კიდევ ერთი — „დნიპროში“, რომელმაც ისევ გაურკვევლობაში ჩაიარა...

**„ყველაფერი „დნიპროში“ ხუანდე რამოსის მოსვლით შეიცვალა. მას დეტალურად მოვუყევი ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ. მისი ხელმძღვანელობით ვარჯიში დავიწყე. მივხვდი, რომ ნორმალურად სირბილიც არ შემეძლო და საშინელ კონდიციებში ვიყავი. რამოსმა თქვა - მოძებნე სხვა გუნდი. ვესაუბრე კლუბის დირექტორ ანდრეი სტეცენკოს და მან „კრივბასში“ გამიშვა“,** — იხსენებს ჯაბა.

ერთი წლის შემდეგ კანკავა სასწრაფოდ დააბრუნეს „დნიპროში“, რადგან განელმა დერეკ ბოატენგმა გუნდი დატოვა, რამოსმა კი კანკავა სასტარტო შემადგენლობის მოთამაშედ აქცია. ეს ყველაფერი პროფესიონალიზმის შედეგია: **„ბოატენგს გუნდი რომ არ დაეტოვებინა, „დნიპროში“ არ დავბრუნდებოდი. დარჩენის ორმაგი სურვილი მქონდა, მწვრთნელს სხვა კლუბში რომ აღარ გავეშვი. უბრალოდ, მთელი ძალებით ვვარჯიშობდი“.**

შემდეგ კანკავას კარიერაში იყო მომენტები, როცა მან თავი მხოლოდ საუკეთესო კუთხით გამოიჩინა — 2013/14 წლების სეზონში, კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ მატჩში, ჯაბამ ოლეგ გუსევი სიკვდილს გადაარჩინა. „დინამოს“ ნახევარმცველს „დნიპროს“ მეკარე დენის ბოიკო მუხლით შეეჯახა. გუსევმა გონება დაკარგა. კანკავა პირველი იყო, ვინც დაზარალებულს აუცილებელი დახმარება გაუწია — დნეპროპეტროვსკის საავადმყოფოს ექიმის თქმით, გუსევს სიცოცხლე სწორედ კანკავას სწრაფმა მოქმედებამ გადაურჩინა. 13 აპრილს, ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ მატჩამდე, უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურმა კანკავას საპატიო ჯილდო გადასცა.

**„მისი კარიერის კულმინაცია „დნიპროსთან“ ერთად 2015 წელს ევროპალიგის ფინალში გასვლა გახლდათ. ეს წელი კანკავასთვის ბოლო იყო დნეპროპეტროვსკის გუნდის შემადგენლობაში, სადაც თითქმის 8 წელი ითამაშა. ფინალში უკრაინული გუნდი 2:3 დამარცხდა ესპანურ „სევილიასთან“, ხოლო ქართველმა ნახევარმცველმა 85 წუთი ითამაშა“.**

**„ცალკე აღსანიშნავია კანკავას წარმატება საქართველოს ნაკრებში. ჯაბას დებიუტი ეროვნულ გუნდში ძალიან ადრე, 18 წლისას ჰქონდა, ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ამ დროისთვის ქართველი ნახევარმცველი თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაშების რაოდენობით (95) საუკეთესო ფეხბურთელთა შორის მეორე ადგილზეა.**

**ამ კომპონენტში ის მხოლოდ საქართველოს ნაკრების ლეგენდას, ლევან კობიაშვილს (100 მატჩი) ჩამორჩება. კანკავა რეკორდსმენია ეროვნულ გუნდში კაპიტნის რანგში ჩატარებული თამაშების რაოდენობით –– 56 მატჩი. 2015 და 2019 წლებში კანკავა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.**



შუბლი შუბლის წილ...

**2020 წელს საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრასთან ისე ახლოს იყო, როგორც არასდროს. ამას ხელს უწყობდა ახალი ტურნირი — ერთა ლიგა, რომელმაც შეცვალა ამხანაგური თამაშები. ქართველებმა ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულეს — ამან საშუალება მისცა ეროვნულ გუნდს, მონაწილეობა მიეღო ევრო 2020-ის კვალიფიკაციაში.**

**ფინალურ ტურნირამდე ქართველებს ერთი ნაბიჯი დააკლდათ — თბილისში ჩრდილოეთ მაკედონიასთან 0:1 დამარცხდნენ. გადამწყვეტი გოლი ვეტერანმა გორან პანდევმა გაიტანა. საქართველოს ნაკრების გამოსვლაზე გავლენა მოახდინა გუნდის ლიდერის ხვიჩა კვარაცხელიას არყოფნამ — „რუბინის“ ფეხბურთელს კორონავირუსი აღმოაჩნდა“...**

საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების შემდეგ, 30 წლის მოთამაშის შემდეგი ნაბიჯი ევროპაში გადასვლა იყო. კანკავა ლიგა 1-ის „რეიმსში“ მივიდა. მან ფრანგებთან 4-წლიანი კონტრაქტი (3+1) გააფორმა. ისევე, როგორც უკრაინაში, ქართველ ნახევარმცველს საქმე უცებ ვერ აეწყო, ძირითადად — ფრანგული ენის არცოდნის გამო.

„რეიმსმა“ 2015/16 წლების სეზონი მე-18 ადგილზე დაასრულა და ლიგა 2-ში დაქვეითდა, სადაც გუნდმა შემდეგ სეზონში მხოლოდ მე-7 ადგილი დაიკავა. კანკავას ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნა, მუცელი სტკიოდა, თამაშები გამოტოვა და... საბოლოოდ, კონტრაქტის გაუქმება გადაწყვიტა...

საფრანგეთის შემდეგ, კანკავა 6 თვე უგუნდოდ იყო. ამ დროს, კუსტანაის კლუბში ჯაბას გადასვლის ინიციატორი ეროვნულ ნაკრებში მისი თანაგუნდელი ნიკა კვეკვესკირი გახდა.

ჯაბამ „ტობოლში“ ნურბოლ ჟუმასკალიევთან ერთად ითამაშა, რომელიც კუსტანაელთა ლეგენდაა. ყაზახი ფეხბურთელის თქმით, მას კანკავაზე უფრო დიდი პროფესიონალი არასდროს შეხვედრია. 2018 წელს, ექვსწლიანი პაუზის შემდეგ, „ტობოლმა“ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ეს მეტწილად მოედნის ცენტრში კანკავას ფაქტორით იყო განპირობებული.

ჰქონდა ცუდი მომენტებიც — ლუქსემბურგის „ჟენესთან“ აკიდებული პენალტი, რომლის გამოც „ტობოლი“ ევროპალიგიდან გავარდა, ასევე, პენალტი ყაზახეთის თასის ნახევარფინალში „ქაისართან“, 97-ე წუთზე...

ჯამში, ამ სამი წლის განმავლობაში „ტობოლში“ მისი კარიერა ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა — ჯაბა იქაური გულშემატკივრების ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი გახდა. ქართველმა ნახევარმცველმა გუნდში 90 თამაში ჩაატარა, 6 გოლი გაიტანა, 3 შედეგიანი პასი შეასრულა და გუნდს ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლების მოგებაში დაეხმარა.

ის „ტობოლის“ ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ლეგიონერად დარჩება. „ტობოლისა“ და ყაზახეთის ჩემპიონატისთვის მისი წასვლა დანაკლისია. რა თქმა უნდა, მას წარმატებებს უსურვებენ საფრანგეთში, სადაც სადებიუტო მატჩი „შატორუსთან“ 3:3 ითამაშა.

**გიორგი შოთაძე**

ნდობა

## ტრადიციები გვავალდებულებს



**ხელბურთის ფედერაციის წესდება ერთი და იმავე პიროვნების ზედიზედ არაუმეტეს ორი ვადით არჩევას ითვალისწინებს, ამიტომ 9-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ მისი აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე თანამდებობიდან გადადგა, თვით ფორუმს კი 27 დელეგატი ესწრებოდა.**

კამათის მონაწილეებმა ექს-თავკაცის მუშაობა დადებითად შეაფასეს და მადლობაც გადაუხადეს, ხოლო პოსტისთვის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტები — სახელოვანი ძველი გვარდიის თვალსაჩინო წარმომადგენელი იმედო ფხაკაძე და გასული საუკუნის 90-იან წლებში სტუ-ს გუნდისა და ეროვნული ნაკრების კაპიტანი ვახტანგ მეიფარიანი იბრძოდნენ.

მას შემდეგ, რაც ბატონმა იმედომ კენჭისყრამდე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, ხმოსნებმა ერთსულოვნად გამოუცხადეს ნდობა 50 წლის **ვახტანგ მეიფარიანს**, რომელთანაც ვიცე-პრეზიდენტებად ფხაკაძე, დიმიტრი აბესაძე და ლევან სალუქვაძე ითანამშრომლებენ, გენერალურ მდივნად კი — ქეთევან კობერიძე.

**ვიტალი ჯაფარიძე**

მწვანე კონტინენტზე

## გუნდური სულით

სეზონის სასტარტო და ყველაზე პრესტიჟული მამაკაცთა გუნდური საჩოგბურთო ტურნირის — ATP-ის თასის გათამაშების ავსტრალიაში გამართულმა წილისყრამ მისი მონაწილე 12 ნაკრები ასე „დაახარისხა“.

**„ა“ ჯგუფი — სერბეთი, გერმანია, კანადა;**
**„ბ“ ჯგუფი — ესპანეთი, საბერძნეთი, ავსტრალია;**
**„გ“ ჯგუფი — ავსტრია, იტალია, საფრანგეთი;**
**„დ“ ჯგუფი — რუსეთი, არგენტინა, იაპონია.**

დავძენთ, რომ ჯგუფურ რაუნდში თითოეული მატჩი ორი ერთეულთა და ერთი წყვილთა შეხვედრისაგან შედგება, ხოლო გუნდები უძლიერესი შემადგენლობებით ითამაშებენ.

# ცივი ზამთრის ცხელი მუნასიბები

## წინათქმა

არ ვარ ნაცი, არ ვარ ქოცი,
არც პარტია ორასოცში
რომელიმეს ქარაგოზი*,
მაგრამ ვშიშობ, ვინმე ბოთე,
ჩვენს ახლოს რომ დააბოტებს,
საცობს ახდის ჯინის ბოთლებს
და ჯინს ისე გამოუშვებს,
როგორც ნიკა – სიტყვებს უშვერს.

* **„ქარაგოზი“ – ქვის ხავსი რამ მცირე (სულხან-საბა ორბელიანი)**

## გინესური ანტირეკორდი

უკვირს სამყაროს, თვითონ გინესსაც,
220-ზე მეტ პარტიას თუ ხედავს ვინმესთან,
მეტადრე მომცრო საქართველოში
ორფა „გირჩით“ და თუნდაც „ლელოთი“ .
დააანონსეს, რომ პარტიას შექმნის
„ფშტვენიაც“!
ვაიმე, ჩემო საქართველოვ
კვლავ ნალმს გტენიან
თეთრი დათვების შავი ბელები,
ბიძა-დისწული კაგებელები!

## მეხუთე რაუნდი

**ბატონმა აპატურაიმ ბრძანა,
რომ ნატოში ვერ შევა ქვეყანა,
რომლის ოპოზიცია პარლამენტში არ შედის**

ზოგის ენა, სულ მთლად უძვლო რაკია,
„მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლია!“
ჭინჭყლ ბავშვივით რომ ჭყიპინებს, გაუდის,
არად აგდებს დიპკორპუსის „აუდიტს“,
ვერ ერკვევა, რას ფიქრობს და რა უნდა,
„ცირკი“ მაინც სურს მეხუთე რაუნდად!
გაჰკივიან მელია და ტურაი,
რომ ვერ მივხვდეთ, რა თქვა აპატურაიმ!

## ფანჩატურელი

მიტომ გახდა ტინგიცა,
ის აქებს და ის იცავს,
ხელს რომ აძლევს იგიც და
ყალბი რეიტინგიცა.

## მანდატს ტოვებს უმანდატო!

უგულო რომ ტაციაობს,
ისე არაკაცია, რომ
„ევროპელად“ ნაციაობს
და „მანდატი,“ უმანდატომ
დეპუტატზე უმალ დადო!

## ამერეთ-იმერეთიდან!

ორპირობა პოლიტიკად რომ მოიხმო,
ჯერ თეთრ მელას განუდგა და მერე მიხოს,
დღეს რომ იხმობს, ბევრის ბედი ვინც გაგვიხმო,
წიფის გვირაბს რად არ ხურავ მის წინ, ლიხო?

## ჟორნალისტთა ქარტია

ჟორნალისტების ეთიკის „საბჭო“
ნიკას უკანალს თავს მიტომ არჭობს,
არც სინდისის სწამს და არც ხატისა,
მისგან სიბილწის გამოხატვისას...
სხვა მთავარს არ ცნობს, რადგან „ქარტიას“
ნაპროკურორალ შეფის ხათრი აქვს,
არ შეეკითხოთ: „რა დამართნია?“
აცალეთ, ლოკავს ფალარათიანს!

## ძაღლმიმკვდარს !

უსინდისოდ იქნევ ლახვარს,
კაცს აგინებ, გვიქებ ახვარს,
მამას ძაღლს რომ მიამარხავ,
აღარ გითხრათ, ვინ ხარ, რა ხარ ?!

## ჩარჩებში ჩარჩენა

როცა ცხოვრება სიგლახეს გაჩვევს,
ხომ არ აჯობებს, რომ წარსულს ჩარჩე,
ვიდრე მევახშეს და წამლის ჩარჩებს?

## „მატროსოვის“ მოლოდინი

შევარდნაძის ფინჯანიდან ჩაი სვა რა,
იმ წუთიდან ძალზე ბევრჯერ ჩაისვარა.
ვერც „შეცვალემ“ უშველა და ვეღარც „კმარამ“,
უთავბოლოდ ბორიალობს კარდაკარა.
პრემიერად რომ ვერ დასვეს, ისე ღელავს
„მატროსოვში“ დაამთავრებს პრემიერას!

## ჟორვილელთა ბარათი ბიძოს!

მავანმა რომ ჟორვილა
ნინოს გააჟორვინა,
ამ ცისა და იმ ცისა
„Veni, vidi, vici“-სა
იცი, გზები მიდის სად
და რადგანაც ბიძინობ,
ვიღაც იწილ-ბიწილომ,
რაც არ უნდა დაგვწამოს,
როგორც უნდა იწივლოს,
გულიანად ვიცინოთ!

## ნუღარ ჩავრთავთ!

კეთილი ზნე სიბილწემ რომ
ველარ შეგვილახოს,
ნუ შევარჩენთ, ვინც ტრაბახობს,
რომ სურს, იჩათლახოს,
თუ არ გვინდა უხამსობა,
ვისმინოთ და ვნახოთ,
ნუღარ ჩავრთავთ „მთავარსა“
და „ტელეპირველს“, ხალხო!



**ალექსანდრე შენგელია**

## სანთელი

**თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, რამაზ ხეცურიანი, მერაბ გურული სამძიმარს უცხადებენ ბადრი და რემი ბიწაძეებს დედის, გამორჩეული ქალბატონის**

# მერი ივანეს ასული ცუცქირიძე-ბიწაძის

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

# თელავში 21 წლის ბიჭმა თავი მოიკლა!

**თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში 21 წლის ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს.**

ახალგაზრდა კაცის ცხედარი სახლში ოჯახის წევრებმა ნახეს.

გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ამის მიზეზი კი აზარტულ თამაშებში წაგებული დიდი რაოდენობის თანხა გახდა.

სუიციდის ფაქტამდე ახალგაზრდამ ოჯახის წევრებს წერილიც დაუტოვა.

# საბანკო ასოციაცია კიბერთაღლითობის შესახებ გვაფრთხილებს

**საბანკო ასოციაციის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში ქვეყანაში კიბერთაღლითობის ახალი შემთხვევები გამოვლინდა. როგორც ასოციაციაში განმარტავენ, თაღლითობის ახალი სქემის მიხედვით, კიბერდამნაშავეები შეტევის დროს იყენებენ Google-ის საძიებო სისტემას, სადაც ისინი თაღლითური ვებგვერდების რეკლამას აკეთებენ. ასეთი ყალბი გვერდების მისამართი, ხშირ შემთხვევაში, მიმსგავსებულია კომერციული ბანკების ინტერნეტბანკის ნამდვილ მისამართებთან. ბმულზე გადასვლის შემთხვევაში, იხსნება კონკრეტული ბანკის ინტერნეტბანკის მსგავსი ყალბი ვებგვერდი, რომელიც ითხოვს მომხმარებლის სახელის და პაროლის შეყვანას, რითიც ბოროტად სარგებლობენ თაღლითები.**



**„გთხოვთ, გაითვალისწინოთ რჩევები კიბერთაღლითობის (ფიშინგის) პრევენციისთვის: არ გადახვიდეთ საეჭვო ბმულებზე; ბმულზე კურსორის მიტანით გამოჩნდება ვებგვერდის რეალური მისამართი; ყურადღებით დააკვირდით იმ ვებგვერდის მისამართს, სადაც პაროლი შეგყავთ, დარწმუნდით, რომ ნამდვილად ბანკის ვებგვერდზე იმყოფებით. ზოგიერთ შემთხვევაში, გაყალბებული მისამართი შეიძლება მხოლოდ ერთი სიმბოლოთი განსხვავდებოდეს ნამდვილისგან.**

**ინტერნეტბანკით სარგებლობისთვის, Google-ის საძიებო ველში რომელიმე კონკრეტული ბანკის სახელით მოძებნის ნაცვლად, მისამართის ველში პირდაპირ აკრიფეთ კომერციული ბანკის ვებგვერდის მისამართი; მობილური მოწყობილობიდან, ისარგებლეთ მობაილბანკის აპლიკაციით“, – ნათქვამია ასოციაციის მიერ გვრცელებულ ინფორმაციაში.**

# ძაღლის ჭირი თბილისში!

**რამდენიმე დღეა, ადამიანები ძაღლის ჭირის გაზრდილ შემთხვევებზე საუბრობენ. ბევრისთვის კი საინტერესოა ის სიმპტომები, რომლის აღმოჩენის შემთხვევაშიც, აუცილებელია ვეტერინართან დროული ვიზიტი. რა არ უნდა გამოგრჩეთ, თუ ოთხფეხა მეგობრების გადარჩენა გინდათ და რამდენად საშიშია ძაღლის ჭირი, ამ თემაზე გვესაუბრება ვეტერანი პაატა ჩხეიძე:**

– ძაღლის ჭირი საკმაოდ მძიმე ვირუსული დაავადებაა. თუმცა, დროული მიმართვიანობისა და სწორი მკურნალობის შემთხვევაში, არის შანსი, რომ ცხოველი გადავარჩინოთ. ახასიათებს ფილტვის ფორმა, ნაწლავური ფორმა, იშვიათად კანის ფორმა. ხოლო ყველაზე მძიმე ნერვული ფორმაა, რა დროსაც მკურნალობას, ფაქტობრივად, აზრი აღარ აქვს.

**– რა სიმპტომები უვლინდებათ, რითაც უნდა მიხვდნენ ადამიანები, რომ აუცილებლად წაიყვანონ ვეტერინართან?**

– გააჩნია, რა ფორმით ვლინდება. ხშირად ცხვირიდან და თვალიდან ჩირქოვანი გამონადენით იწყება. ცხვირი უფრო გაუხეშებული, გამომშრალი და დამსკდარია. თუ რესპირატორული ფორმაა, ფილტვების ანთებით, ხველებით, ცემინებით და ყველა იმ სიმპტომით, რაც რესპირატორულ ვირუსს ახასიათებს. არის ნაწლავური გამოვლინება, რომელიც შებერილობით, ფალარათით ხასიათდება. კანის ფორმის შემთხვევაში არის კანის გარქოვანება, დასკდომა, ჩირქოვანი გამონაყარი და ასე შემდეგ. ნერვული ფორმის დროს კი ტიკები ეწყებათ, შეიძლება კრუნჩხვა და ძლიერი ნერწყვდენა ჰქონდეთ.



**– რამდენად გაზრდილია ახლა შემთხვევები და ძაღლის კომპლექსური აცრები თუ იცავს?**

– მომატებულია შემთხვევები, მაგრამ მე აფეთქებას არ ვუწოდებდი. პროცენტულად რომ შევადაროთ, დიდი განსხვავება არ არის. ამ პერიოდში ყოველთვის ბევრია ხოლმე. ადრე ჭირის ტესტი არ არსებობდა, მისი გამოყენება ბოლო წლებში დაიწყეს. ასე რომ, ჭირის დიაგნოსტირება საწყის სტადიაზე ნაკლებად ხდებოდა. ახლა, ტესტის შემთხვევაში, გაცილებით სწრაფად ხდება დადგენა. როდესაც ძაღლს ვაქცინას ვუკეთებთ, ის ანტისხეულებს გამოიმუშავებს. ეს არ ნიშნავს, რომ დაავადება არ დაემართება. უბრალოდ, უფრო მარტივად გადააქვს. გარეთ ძალიან ბევრი ძაღლია, რომელთა უმეტესობასაც შესაძლოა არ ჰქონდეს ვაქცინა გაკეთებული და შესაბამისად, გაავრცელონ.

**– რამდენი ხანი სჭირდება ვაქცინის შემდეგ ანტისხეულების გამომუშავებას?**

– ვაქცინაცია ორჯერ ან სამჯერაა საჭირო, გააჩნია ძაღლის ასაკს. ანტისხეულების გამომუშავებას კი 2 კვირა სჭირდება.

**– ადამიანზე გადადების საფრთხე ხომ არ არის?**

– არა, ათეული წლებია, ვმუშაობ და მსგავსი შემთხვევა არ მქონია.

**– როგორ უნდა დაიცვან ადამიანებმა ოთხფეხა მეგობრები?**

– ვაქცინაცია ყველაზე მნიშვნელოვანია. აგრესიული დაავადებაა, ადვილად გადადის ჰაერწვეთოვანი გზით, შარდით, განავლით, ნერწყვით და ასე შემდეგ. საკმარისია, ნაავადმყოფარი ძაღლი სადმე იყოს, პატრონმა გაიაროს იმ ადგილზე და მერე შეიძლება თავის ძაღლს მიუტანოს. მთავარია, კარგი ხარისხის ვაქცინით იყოს აცრილი. მარტო ვაქცინაცია საკმარისი არ არის. ცხოველის ორგანიზმიც მომზადებული უნდა იყოს. თუ თქვენი ძაღლი არ გყავთ დამუშავებული ჭიაზე, ცუდ პირობებშია, არასწორად იკვებება, არასასურველი რაციონი აქვს, ამ შემთხვევაში მისი ორგანიზმი მთლად ჯანმრთელი არ არის და საჭირო ანტისხეულებს ვერ გამოიმუშავებს.

**„მშობლები. ჯი“**



## ილია მეორე: ვულოცავთ ჩვენს პრეზიდენტს ნინოობას, ღმერთმა ძალა მისცეს მას და საქართველოს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ნინოობასთან დაკავშირებით სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში წირვა აღავლინა. მან დღესასწაული საქართველოს პრეზიდენტს მიულოცა.

**„ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს. განსაკუთრებით მივულოცავ, ვინც მის სახელს ატარებს. თქვენ იცით, რომ ჩვენი პრეზიდენტი, რომელსაც ვუწოდებთ სალომეს, არის მატარებელი სხვა სახელის — ნინოსი. ვულოცავთ ჩვენს პრეზიდენტს ნინოობას, ღმერთმა ძალა მისცეს მას და საქართველოს.**

**წმინდა ნინოს ცხოვრება უდიდესი სასწაულია. თქვენ გიფიქრიათ, საიდან მოიპოვა ამდენი ძალა, ენერგია, რომ ამ შორეულ ქვეყანაში წამოსულიყო. ღმერთი იყო მასთან, ღმერთი მფარველობდა მას. მისი ლოცვა ძლიერია დღესაც. ჩვენ, ყველანი ვგრძნობთ მის შემწეობას. შეგეწიოთ წმინდა ნინოს მადლი და ღვაწლი, შეგეწიოთ მისი ლოცვები. ჩვენთან არს ღმერთი!“** - აღნიშნა პატრიარქმა.

## ეს შეუფერებელია სახარებისეულ სწავლებასთან!



**დეკანოზ თადეოზ სარალიძის ქადაგებას, სადაც მან განაცხადა, რომ ბავშვების გარკვეული კატეგორია უმჯობესია, მცირე ასაკში მოკვდეს, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) განცხადებით ეხმაურება, რომელსაც საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.**

მიტროპოლიტის განცხადებით დეკანოზის ქადაგება შეუფერებელია სახარებისეულ სწავლებასთან და შესაბამისი პაუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით ეპარქია იმსჯელებს.

## მსახიობი მამუკა ლორია გარდაიცვალა

**კინოსა და თეატრის მსახიობი მამუკა ლორია 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინფორმაციას რუსთაველის თეატრი ავრცელებს.**

რუსთაველის თეატრის სცენაზე მამუკა ლორიას არაერთი როლი აქვს განსახიერებული.



გადაღებულია ფილმებსა და ტელესერიალებში. მიღებული აქვს რუსთაველის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ჯილდო — „ოქროს ნიღაბი“ სპექტაკლისთვის „მაკბეტი“.

## ღირსეული პოეტის უკვდავყოფა



### დავით წერედიანი საქართველოს კულტურის ისტორიაში დარჩება

**დავით წერედიანს სიკვდილის შემდეგ ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია მიენიჭა.**

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია გუშინ ორბელიანების სასახლეში გამართულ დაჯილდოების ცერემონიაზე დავით წერედიანის ოჯახს გადასცა,— ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის პრესსამსახური ავრცელებს.



**„ვაჟა-ფშაველას პრემიის აღნიშვნა ამ პანდემიის, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის დროსაც კი მნიშვნელოვანია, რადგან კულტურა ვითარდება და იგი მაინც იტოვებს თავის განმსაზღვრელ როლს საზოგადოებასა და ქვეყანაში.**

**კულტურას მაცოცხლებელი ძალა აქვს და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ეს ტრადიცია გავაგრძელოთ და გავამდიდროთ.**

**მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ დავით წერედიანი არა მხოლოდ ღირსეული პოეტი, არამედ გერმანული და ფრანგული პოეზიის დიდი მთარგმნელიც იყო, რომელიც საქართველოს კულტურის ისტორიას დარჩება.**

**ჩვენ გვჭირდება მეტი კარგი მთარგმნელი იმისთვის, რომ გავიტანოთ ჩვენი კულტურა და ჩვენთან შემოვიტანოთ სხვა ქვეყნების კულტურა“,** — აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კომისიის წევრებსა და მის თავმჯდომარეს როსტომ ჩხეიძეს გაწეული სამუშაოსათვის.

ცერემონიას ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კომისიის წევრები, გამომცემლობების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

## ზოგი ქირი მარგებელია

**კანადელმა ქალმა დენგ პრავატოდუმმა ლატარიის ბილეთის შესავსებად ციფრების კომბინაცია გამოიყენა, რომელიც მის ქმარს 20 წლის წინ დაესიზმრა და $60 მილიონი მოიგო.**

გასული წლის 1 დეკემბერს წყვილი ბანკში წავიდა, სადაც პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილ პრავატოდუმს გადასახადები უნდა გადაეხადა. მისი ქმარი კი ამ დროს ბილეთებს ამოწმებდა. ბანკის შენობიდან გამოსულ დენგს ქმარმა შეატყობინა, რომ მათ 60 მილიონი დოლარი მოიგეს.

დენგი, რომლის ოჯახიც კანადაში 1980-იან წლებში ლაოსიდან გადასახლდა, ამბობს რომ თანხას საკუთარი სახლის შესაძენად გამოიყენებს. მოგზაურობაზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ კი იმოგზაურებს.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.3011; ევრო - 4.0032;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5053;
100 რუბლი - 4.3714; თურქული ლირა - 0.4473;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9432;
1000 სომხური დრამი - 6.3630.

**ამინდი 28 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -3, | დღე | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე | +13 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +7 | დღე | +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე | +11 |
| თბილისი: | ღამე | +2, | დღე | +14 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge